2011 წელი, 17-23 მარტი

ფასი 1 ლარი

ახალი განათლება

№11 (525) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

იაპონია, 2011 წლის 11 მარტი

„ახალი განათლების“ ხელმომწერთა საყურადღებოდ!

3-თვიანი ხელმოწერის ვადა იწურება მარტის ბოლოს. ხელმოწერის გაგრძელების მსურველებმა თანხა (7 თვის ღირებულება – 28 ლარი) გადმორიცხეთ გაზეთის მე-12 გვერდზე მითითებულ რეკვიზიტებზე (რაიონის, ქალაქის, სოფლისა და სკოლის მითითებით).

გვერდი 5

„ახალი განათლების“ წიგნის თარო

ხელმომწერთა საყურადღებოდ
მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების სერიის ერთი ტომის ღირებულებაა 12 ლარი და თემატური ენციკლოპედიის „რა არის რა“ – 11 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22, ა/ა GE93LB0113314052305000

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735
ს/ს „ბაზისბანკი“, ბ/კ CBASGE22, ა/ა GE46BS0000000030236563,

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბ/კ BAGAGE22, ა/ა 123631000

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ
ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
95 80 23; 890 95 80 23; 877 13 22 83.

C M Y K

ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერითა და პირველი ლედის პატრონაჟით, თბილისის პირველ საჯარო სკოლაში, „ჯანმრთელი და უსაფრთხო სკოლის (ჯუს)“ პროექტის ფარგლებში, პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციას **უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე** და პირველი ლედი **სანდრა რულოვსი** დაესწრნენ. ღონისძიებაში ასევე მონაწილეობდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **კოკა სეფერთელაძე,** გაეროს ბავშვთა ფონდისა და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები.

პრეზენტაციას გაკვეთილის სახე ჰქონდა, რომელიც 10 წლის ასაკის მოსწავლეებს ჩაუტარდათ. გაკვეთილი რამდენიმე თემისაგან შედგებოდა: ალკოჰოლი, სიგარეტი, ნარკომანია, კვება, უსაფრთხო მოძრაობა. ყველა მათგანი ალიანსის პროექტის „ჯანმრთელი და უსაფრთხო სკოლის“ შემადგენელი ნაწილებია.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი მოსწავლეებს ჯანმრთელი ცხოვრების მნიშვნელობაზე ესაუბრა. მოსწავლეების წინაშე მასწავლებლის ამპლუაში წარდგნენ: პირველი ლედი, პროექტის „ჯანმრთელი და უსაფრთხო სკოლა“ დირექტორი, პროექტის კოორდინატორი და ცნობილი სპორტსმენები.

პრობლემები, რომლებზეც მონაწილეებმა ისაუბრეს, თანაბრად ეხებოდა ყველა ოჯახს მთელ მსოფლიოში, ამიტომაც „ჯანმრთელი და უსაფრთხო სკოლის“ ალიანსის მსგავსი საზოგადოებები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს. ამ მხრივაც, საქართველო მოწინავე ქვეყნების რიგში დგას.

ღონისძიების ორგანიზატორებმა მონაწილეებს გააცნეს „ჯუს“-ალიანსის მიმართვა მთავრობისადმი „ჯანმრთელი და უსაფრთხო სკოლის“ ეროვნული დღის შემოღების შესახებ და სთხოვეს შეუერთდნენ ამ ინიციატივას. დასასრულ ბავშვებმა და მოწვეულმა სტუმრებმა ხელი მოაწერეს მიმართვას და ამით, ფაქტობრივად, „ჯუს“-კამპანიის თანამონაწილენი გახდნენ.

„ჯანმრთელი და უსაფრთხო სკოლის“ ალიანსი ანალოგიურ შეხვედრებს მოსწავლეებთან მომავალშიც გააგრძელებს.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** და სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა **მაია მიმინოშვილმა** მასწავლებლებს ახალი დამხმარე სახელმძღვანელო „ბიოლოგია“ წარუდგინეს.

დამხმარე სახელმძღვანელო „ბიოლოგია“ სამინისტროს გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა გამოსცა და იგი „მასწავლებლის ბიბლიოთეკის“ სერიულ გამოცემებს შეემატება.

სახელმძღვანელო „ბიოლოგია“ გამოცდების ეროვნული ცენტრის საბუნებისმეტყველო ჯგუფმა მოამზადა და განკუთვნილია პედაგოგებისთვის, როგორც სწავლების პროცესში დამხმარე სახელმძღვანელოდ, ისე პედაგოგთა სერტიფიცირების გამოცდისთვის მოსამზადებელ ლიტერატურად.

გამოცემაში განხილულია უჯრედისა და ვირუსის ბიოლოგია, გენეტიკა, ორგანიზმთა გამრავლება, ინდივიდუალური განვითარება და ზრდა, ევოლუციური თეორია და ადამიანის წარმოშობა, ადამიანის ანატომია, ფიზიოლოგია და ეკოლოგია.

ღონისძიებაში სახელმძღვანელოს ავტორები და გამოცდების ეროვნული ცენტრის საბუნებისმეტყველო ჯგუფის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** ქვემო ქართლის გუბერნატორთან **დავით კირკიტაძესთან** ერთად ამჯერად, რუსთავის პროფესიულ კოლეჯს „მოდუსი“ ეწვია და სასწავლებლის საქმიანობას ადგილზე გაეცნო.

რუსთავის პროფესიული კოლეჯი იმ სასწავლებელთა რიცხვს განეკუთვნება, სადაც სამინისტრომ სრული რეაბილიტაცია განახორციელა და თანამედროვე აპარატურითა და ახალი ტექნოლოგიების შესაბამისი ძვირადღირებული მანქანა-დანადგარებით აღჭურვა ელექტროაირშედუღების, სამღებრო საქმის, ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების, კომპიუტერული და საყოფაცხოვრებო ელექტრო ტექნიკის შეკეთების, ავტომობილის დიაგნოსტიკა და რემონტის, სანტექნიკური სამუშაოების ოსტატის, მდივან?ეფერენტის და ბუღალტერიის სასწავლო სახელოსნოები. არსებული ბაზა საშუალებას იძლევა პრაქტიკული მეცადინეობები საწარმოსთან მიახლოებულ პირობებში ჩატარდეს. სასწავლებელს აქვს ბიბლიოთეკა და სპორტული დარბაზი.

რუსთავის პროფესიული კოლეჯი შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამის ცოდნასა და უნარებს ყოველწლიურად ასობით სტუდენტს აძლევს. განახლებული სასწავლო პროგრამებით აქ სტუდენტები 15 სპეციალობას ეუფლებიან. სასწავლებელი აქტიურად თანამშრომლობს კურსდამთავრებულთა პოტენციურ დამსაქმებლებთანაც.

მიმდინარე სასწავლო წელს „მოდუსში“ მსურველები შემდეგ მოთხოვნად პროფესიებში გადამზადდებიან: ნივთიერებებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტი, მდნობელი, მელუმელე, შემდუღებელი, მღებავი, დურგალი, ზეინკალ-სანტექნიკოსი, სავალი ნაწილის ტექნიკოსი, ძრავის შეკეთებელი, მეთუნუქმღებავი, ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს-შემკეთებელი, ელექტროამძრავისა და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატი, ინფორმაციული ტექნოლოგი, ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი), ბუღალტერი.

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტი

UNIVERSITY OF INTERNATIONAL RELATIONS OF GEORGIA

ძვირფასო აბიტურიენტებო!

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისა და ქართული მეცნიერების განვითარებაში, რაც მიღწეულ იქნა მოქნილი სასწავლო სისტემის ჩამოყალიბებით, თანამედროვე მეთოდების დანერგვით და მაღალი ხარისხის განათლების უზრუნველყოფისა და შიდასაუნივერსიტეტო დისციპლინების წყალობით.

დღეს უნივერსიტეტში მოქმედებს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.

აღნიშნული პროგრამები მიზნად ისახავს ბაკალავრთა და მაგისტრთა აღჭურვას ევროსტანდარტების შესაბამისი კომპეტენციებით, რაც განაპირობებს მათ კონკურენტუნარიანობას, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

უნივერსიტეტის თითოეულ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გამოცდილი პროფესორების დახმარებით მიიღოს საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლება, აქტიურად ჩაერთოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში, მონაწილეობა მიიღოს მნიშვნელოვან და საინტერესო სპორტულ თუ კულტურულ ღონისძიებებში და სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის პროცესში.

უნივერსიტეტი, თავისი მისიიდან გამომდინარე, აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებთან და მონაწილეობს სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში.

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტი ყველა პირობას უქმნის სტუდენტ ახალგაზრდობას მიიღონ კვალიფიციური ცოდნა, დაეუფლონ მათთვის სასურველ პროფესიას, გამოიმუშაონ ის უნარ-ჩვევები, რაც აუცილებელია პროფესიონალად ჩამოყალიბებისათვის და შემდეგ წარმატებით გამოიყენონ თავიანთ ცხოვრებისეულ ასპარეზზე და მიაღწიონ უფრო მეტ წარმატებებს.

უნივერსიტეტი გიწვევთ შემდეგ აკრედიტებულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე

- სამართალმცოდნეობა
- საერთაშორისო ურთიერთობები (სწავლება ქართულ და ინგლისურ ენებზე)
- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (სწავლება ქართულ და ინგლისურ ენებზე)
- ბიზნესის ადმინისტრირება (სწავლება ქართულ და ინგლისურ ენებზე)
- საგადასახადო საქმე
- აღრიცხვა, აუდიტი და კონტროლი
- ფინანსები და საბანკო საქმე
- გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა (ლოგისტიკა)

სწავლების მეორე საფეხური

- საერთაშორისო ურთიერთობები (სწავლება ქართულ და ინგლისურ ენებზე)
- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (სწავლება ქართულ და ინგლისურ ენებზე)
- საერთაშორისო ურთიერთობები (სწავლება ქართულ და ინგლისურ ენებზე)
- ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)
- საგადასახადო საქმე
- აღრიცხვა, აუდიტი და კონტროლი
- ფინანსები და საბანკო საქმე
- ლოგისტიკური და სატრანსპორტო მენეჯმენტი
- სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართალი
- კერძო სამართალი
- სისხლის სამართალი

ითანამშრომლეთ ჩვენთან და იქნებით წარმატებულები!

საკონტაქტო ინფორმაცია: თბილისი, 0156, რუსთავის გზატკეცილი 20. ტელ: 402946, 402947, 402948.
20 Rustavi Highway, Tbilisi, 0156, Georgia. Tel:+995 32 402946, 402947, 402948.
e-mail: ssuu_university@yahoo.com. www.ssuu.edu.ge

IV–კლასელთა II რესპუბლიკური ოლიმპიადა მათემატიკაში

ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების სკოლა-ლიცეუმ „სხივში", 2011 წლის 26 მარტს, 10 საათზე, ტარდება IV კლასელთა II რესპუბლიკური ოლიმპიადა მათემატიკაში.

მოსწავლეები დაჯილდოვდებიან სერტიფიკატებით

მოსწავლე, რომელიც მიიღებს უმაღლეს ქულას დაჯილდოვდება სხვადასხვა საჩუქრებით:
I ადგილი — ნოუთბუქი
II ადგილი — ველოსიპედი
III ადგილი — ფოტოაპარატი
IV - V ადგილი - MP 4 ფლეიერი

რეგისტრაცია შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად სკოლის სახელით. ოლიმპიადაში მონაწილეობის ღირებულებაა 10 ლარი.

თანხის გადახდა შესაძლებელია:
ს.ს. საქართველოს ბანკი; ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგ. No 134151100
სკოლა ლიცეუმი „სხივი"

რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია
ინტერნეტის საშუალებით – შეავსეთ www.skhivi-k12.ge გვერდზე განთავსებული სარეგისტრაციო ფორმა და გამოაგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე: info@skhivi-k12.ge
ტელეფონის საშუალებით – თბილისი (832) 59 67 01, 59 67 02
ფაქსით +99532 596703
ცენტრში ადგილზე მისვლით
თბილისი – სკოლა-ლიცეუმი "სხივი" , დიდი დიღომი, მისის დასახლება, ნაკვეთი 368

ნორჩ ეკოლოგთა ტურნირი ნეტი-2011

International Young Ecologists' Tournament
2011

ნორჩ ეკოლოგთა ტურნირი არის გუნდური შეჯიბრი, რომელიც მიზნად ისახავს გამოავლინოს მოსწავლეთა უნარი გადაჭრან ეკოლოგიური პრობლემები, გამოხატონ თავიანთი აზრი და შეძლონ ამ აზრის დაცვა მეცნიერული დისკუსიის (ეკოპაექრობის) დროს. ყოველი გუნდი შედგება 7-8 უფროსკლასელისაგან, რომელთა ასაკი არ აღემატება 18 წელს. გუნდს ჰყავს კაპიტანი (ლიდერი), რომელიც არის გუნდის ოფიციალური წარმომადგენელი ეკოპაექრობის დროს. გუნდს ხელმძღვანელობს ერთი ან ორი მასწავლებელი (ფასილიტატორი).

2011 წლის 21-26 ივნისს ჩატარდება ნორჩ ეკოლოგთა რესპუბლიკური ტურნირი, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ყველა საჯარო და კერძო სკოლას. საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო ეკო-ტურნირზე, რომელიც შედგება 2011 წლის სექტემბერში.

კონკურსის განმახორციელებელი ორგანიზაციებია:
სკოლა-ლიცეუმი „აია – GESS"
ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი

ტურნირის ჩატარების წესი, დებულება და ამოცანები იხილეთ ვებგვერდზე
www. aia-gess.ge

გთხოვთ, განაცხადი გამოაგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე 20 აპრილამდე
aia-gess11@rambler.ru; aia.gess11@gmail.com;

ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელეფონებზე:
65-17-67; 893215344; 899 70 75 32

ვიწვევთ მუსიკოსებს!

საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი", რომელიც 2008 წელს დაფუძნდა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქუთაისის ფილიალის ბაზაზე, აგრძელებს აბიტურიენტთა მიღებას. მიღება იწარმოებს აკადემიურ (საბაკალავრო) საგანმანათლებლო პროგრამებზე შემდეგი მიმართულებებით: **ფორტეპიანო, საორკესტრო (სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი) საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა და აკადემიური გუნდის დირიჟორობა**. მისაღები კონტინგენტი განისაზღვრა 45 ადგილით. ბაკალავრიატის სრული კურსის დასრულებისა და შესაბამისი კრედიტების მოპოვების შედეგად კურსდამთავრებული იღებს უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს, ენიჭება სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და შესაბამისი კვალიფიკაცია (მუსიკოს-შემსრულებელი: ანსამბლის წევრი, კონცერტმაისტერი, ორკესტრის მსახიობი, ვოკალური ანსამბლებისა და გუნდის სოლისტი, საოპერო მეორე პარტიების შემსრულებელი, სასწავლო და მოყვარულთა გუნდის ხელმძღვანელი, აკადემიური გუნდის მომღერალი; დაწყებითი სამუსიკო, ასევე ფართოპროფილიანი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების I-VI კლ. მასწავლებელი).

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ერთიანი ეროვნული გამოცდების შესახებ" დებულების საფუძველზე, კოლეჯში სწავლის მსურველი აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე გადიან კონკურსს შემოქმედებითი ტურების სახით კოლეჯის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. გათვალისწინებულია ორი ტური, რომელთაგან პირველ ტურში აბიტურიენტები წარმოადგენენ საგამოცდო პროგრამას სპეციალობაში, ხოლო მეორე ტური ითვალისწინებს მუსიკის თეორიაში სამუსიკო საგანმანათლებლო საშუალო რგოლის სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით გათვალისწინებული მასალის ცოდნის გამოვლენას. აბიტურიენტი უნდა ფლობდეს სათანადო ცოდნას სოლფეჯიოს, მუსიკის ელემენტარული თეორიის, ჰარმონიის, მუსიკალური ნაწარმოებების ანალიზის დისციპლინებში. იცნობდეს პროფესიული მუსიკის ნიმუშებს და ქართულ ხალხურ სიმღერებს.

შემოქმედებითი ტურების მოთხოვნების გაცნობა აბიტურიენტს შეუძლია კოლეჯის ვებგვერდზე – www.kutmuscollege.edu.ge

შემოქმედებით ტურებში გამსვლელი ქულების მიღების შემდეგ აბიტურიენტები გადიან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და აბარებენ სამ სავალდებულო გამოცდას: **ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, უცხოური ენა**. სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების მსურველ აბიტურიენტს უფლება აქვს აირჩიოს მისთვის სასურველი ნებისმიერი დამატებითი საგამოცდო საგანი.

კოლეჯში აბიტურიენტთა ჩარიცხვა ხორციელდება შემოქმედებითი ტურების შედეგების მიხედვით, ერთიანი ეროვნული გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის შემთხვევაში, ერთიან ეროვნულ გამოცდებში მოპოვებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების გაუთვალისწინებლად.

იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი ერთიანი ეროვნული გამოცდების რესურსცენტრში გაკეთებულ განაცხადში მიუთითებს კოლეჯის ან სხვა სახელოვნებო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამას, შემოქმედებითი ტურები უნდა გაიაროს ყველა სასწავლებელში, მის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად.

რესურსცენტრში რეგისტრაციის გავლისა და აბიტურიენტის სტატუსის დამადასტურებელი პლასტიკური ბარათის მიღების შემდეგ, აბიტურიენტებს საბუთები დამატებით შემოაქვთ სსიპ-ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის მიმღებ კომისიაში.

საბუთები მიიღება 2011 წლის 25 მაისიდან 12 ივნისამდე; შემოქმედებითი ტურები ჩატარდება 14 ივნისიდან.

აბიტურიენტებმა მიმღებ კომისიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

- განცხადება (ფორმას შეავსებენ ადგილზე);
- სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი დანართთან ერთად (ატესტატი ან დიპლომი-დედანი);
- საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- 6 ცალი ფოტოსურათი (ზომა: 4X6);
- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი საბუთი ვაჟებისთვის;
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ გაცემული საგამოცდო-საიდენტიფიკაციო პლასტიკური ბარათი (დედანი და ასლი).

შემოქმედებითი ტურების დაწყებამდე კოლეჯში ჩატარდება კონსულტაციები აბიტურიენტთათვის სასურველ დისციპლინაში

საორკესტრო საკრავების, სოლო აკადემიური სიმღერის, აკადემიური გუნდის დირიჟორობის გამოცდისთვის სპეციალობაში აბიტურიენტს შეუძლია წარმოადგინოს საკუთარი კონცერტმაისტერი ან წინასწარ გააკეთოს განაცხადი კონცერტმაისტერის მოთხოვნის შესახებ კოლეჯის მიმღებ კომისიაში, არანაკლებ 10 დღით ადრე გამოცდების დაწყებამდე.

ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის დიდი გამოცდილებისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი აბიტურიენტებს სთავაზობს მაღალი ხარისხის განათლებას და დოსტატებას საშემსრულებლო ხელოვნებაში.

ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს ექმნებათ შესაძლებლობა სწავლის გაგრძელებისა მაგისტრატურაში ნებისმიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

წარმატებას ვუსურვებთ ყველა აბიტურიენტს, ვისაც გაუჩნდება სურვილი მიიღოს უმაღლესი საბაკალავრო სამუსიკო განათლება სსიპ-ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში.

გისურვებთ წარმატებას!

რუსუდან ლორთქიფანიძე
რექტორი

ჩვენი მისამართია: 4600, ქ. ქუთაისი. კ. გამსახურდიას ქ. 43ᵃ ტელეფონები: (8 231) 7-09-11: 7-46-22: 899 506 451 ან 899 158 905
ელფოსტა: admin@kutmuscollege.edu.ge ვებგვერდი: www.kutmuscollege.edu.ge

CIU კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აირჩიეთ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და მიიღეთ ხარისხიანი განათლება

უნივერსიტეტში სტუდენტთა სწავლა-აღზრდისა და მათი პროფესიული დაოსტატების საქმეს სათანადო გამოცდილების მქონე პროფესორ-მასწავლებლები ემსახურებიან. ჩვენ გთავაზობთ სწავლას ერთ-ერთ პრესტიჟულ და მაღალი რეიტინგის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ემსახურება შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი გთავაზობთ სწავლას შემდეგ ფაკულტეტებზე:

ბიზნესის (115-01) მისაღები კონტინგენტი – 50
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

იურიდიული(115-02) მისაღები კონტინგენტი – 26
სპეციალობა სამართალმცოდნეობა

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (115-03)
მისაღები კონტინგენტი – 40
სპეციალობები – საერთაშორისო ურთიერთობები და ჟურნალისტიკა

მედიცინის (115- 04) მისაღები კონტინგენტი – 45
სპეციალობები – მედიცინა (სამკურნალო საქმე), სტომატოლოგია და ფარმაცია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს:

- კომფორტულ, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ სასწავლო გარემოს;
- კომპიუტერულ კლასს;
- მდიდარ ბიბლიოთეკას – წიგნადი და ელექტრონული ფონდით;
- იურიდიულ კლინიკას;
- ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის სასწავლო-შემოქმედებით ლაბორატორიას;
- გაცვლით საბაკალავრო პროგრამებს;
- სწავლების მაღალ ხარისხს;
- ქვეყანაში არსებულ საგანმანათლებლო ბაზართან შედარებით დაბალ ფასებს;
- განათლების მიღებას სწავლების ორ საფეხურზე – ბაკალავრიატში და მაგისტრატურაში.

უნივერსიტეტი აკრედიტებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.
ლიცენზია 01 1708/723, აკრედიტაცია 42/ს 19.11.2007

მისამართი: თბილისი, ჩარგლის ქ. 73, ტელ: 61 12 98; 10 52 03; 30 86 41
ელფოსტა: ciu@ciu.edu.ge ვებგვერდი: www.ciu.edu.ge

ისწავლე წარმატებით და მოიპოვე სტიპენდია!
ჩვენ ვქმნით თქვენს წარმატებას!

ორიგამის და კალიგრაფიის გაკვეთილი

2 მარტი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი დღე იყო. სტუმრად გვეწვივნენ იაპონიის საელჩოს წარმომადგენლები – ელჩის მეუღლე **ჯუნკო კამოჰარა, რიცუკო ინოუე, მიძუე იანო, რუსუდან გვერწითელი** და **თეონა ნაცვლიშვილი**. ქალბატონმა ჯუნკო კამოჰარამ წარმოადგინა იაპონელების ნაციონალური ტანსაცმელი „კიმონო“. გაგვაკეთებინეს ქაღალდის წეროები, რომელიც იაპონელებისთვის მშვიდობის სიმბოლოა. სპეციალურ იაპონურ ფურცლებზე ფუნჯებით და სპეციალური მელნით ყველას იაპონურ ენაზე დაგვაწერინეს ჩვენი სახელები, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენში. ყველას მოგვინდა იაპონური ენის შესწავლა.

გვქონდა ჩვენი პროექტის „ქართული ტრადიციები და ნუგბარი“ პრეზენტაცია (www.tradition-georgia.netau.net). უკვე სამი წელია, ამ პროექტს ბუნების გაკვეთილზე ვახორციელებთ. საკლასო ოთახში გვქონდა ფოთოლცვენა, რთველი, ამოვავლეთ ჩურჩხელები, ახალ წელს ვისწავლეთ და გავაკეთეთ გოზინაყი. აღდგომისთვის მზადება ჯეჯილის დათესვით დავიწყეთ, წითელი კვერცხებიც საკლასო ოთახში შევღებეთ. ზაფხულში ფერისცვალება ყველამ დამოუკიდებლად ვიზეიმეთ. შემოდგომაზე „თბილისობის“ დღესასწაული კვლავ საკლასო ოთახში აღვნიშნეთ ხილით მორთული ქუდებითა და კალათებით. ყველა დღესასწაულზე მოწვეული გვყავდნენ ბებიები და ბაბუები.

ჩვენი ტრადიციების გარდა სტუმრებს მათ ტრადიციულ დღესასწაულზე – „საკურას“ (ალუბლობა) ფესტივალზეც ვესაუბრეთ.

იაპონიის საელჩოს წარმომადგენლებს სამახსოვროდ გადავეცით ჩვენი ნახატები და იაპონური სახლის ხელნაკეთი მაკეტი. რა კარგი იქნებოდა, სხვა ქვეყნების საელჩოების წარმომადგენლებსაც რომ გაეცნოთ ჩვენთვის თავიანთი დამწერლობა და ტრადიციები.

170-ე საჯარო სკოლის III^ა კლასის მოსწავლეები

P.S. იაპონიაში მომხდარი ტრაგედიის გამო თანადგომას ვუცხადებთ ჩვენს თანატოლებს და მთელ მოსახლეობას.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდა

გამოცდების ეროვნული ცენტრი – 2011

• დაწყებით საფეხურზე იქმნება ბავშვის სასწავლო საქმიანობის საფუძველი;

• აქ იძენს ადამიანი იმ ძირითად კომპეტენციებს, რომლებსაც ყოველთვის იყენებს მომავალ პროფესიულ საქმიანობაში;

• სოციალიზაციის პირველ ეტაპებსაც ბავშვი აქ გაივლის.

დაწყებითი კლასების მასწავლებელთა სტანდარტი

• სტანდარტში წარმოდგენილია ის კომპეტენციები, რომლებიც უნდა ჰქონდეს დაწყებითი კლასების მასწავლებელს;

• სტანდარტი არის დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა საგამოცდო პროგრამა.

სერტიფიკატის ტიპები:

• I-IV კლასების მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ქართულს, ბუნებისმეტყველებას, მათემატიკას;

• I-VI კლასების მასწავლებელი, რომელიც ასწავლის მხოლოდ ერთ საგანს.

V-VI კლასებში სწავლების უფლების მოპოვება შეუძლია როგორც I-IV, ასევე, VII-XII კლასების მასწავლებელს.

სერტიფიკატის ტიპები



სასერტიფიკაციო ტესტი

შესრულებული სამუშაო:

• სტანდარტის ექსპერტული შეფასება;
• სტანდარტის გადამუშავება;
• საცდელი ტესტირება;
• დამხმარე მასალათა კრებული.

• ინფორმაცია დაწყებითი საფეხურის პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდის შესახებ;

• საგამოცდო პროგრამები;

• ნიმუშები ტესტის თითოეული ნაწილიდან;

• რეკომენდებული ლიტერატურის ჩამონათვალი;

• დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის სტანდარტი.

სასერტიფიკაციო ტესტი

დავალებათა ფორმატი

• დავალებები არჩევითი პასუხებით;
• დავალებები ღია დაბოლოებით;
• შესაბამისობის დადგენა;
• ესეს ტიპის დავალება.

ტესტის სტრუქტურა

• პროფესიული ცოდნა და მეთოდიკა (ქართული ენა და ლიტერატურა, კითხვისა და წერის სწავლება, ბუნებისმეტყველება, მათემატიკა);

• აკადემიური უნარები (წაკითხული ტექსტის გააზრება და ანალიტიკური წერა).

ტესტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 60%, თითოეული ნაწილისა – 35-40%.

პროფესიული ცოდნა და მეთოდიკა

• ქართული ენა და ლიტერატურა;
• კითხვისა და წერის სწავლება;
• ბუნებისმეტყველება;
• მათემატიკა.

ნიმუშები

პროფესიული ცოდნა და მეთოდიკა

ქართული ენა და ლიტერატურა
(საგნობრივი ცოდნა)

ჩამოთვლილთაგან რომელ წინადადებაშია ზმნა მცდარი ფორმით?

(ა) გიორგის თხილამურებით უსრიალია.
(ბ) გიორგის ბაწარი გაუბია.
(გ) გიორგის წერილი დაუწერია.
(დ) გიორგის ფანქარი გაუთლია.

ჩაწერეთ ზმნა სწორი ფორმით:

.....

პასუხი დაასაბუთეთ.

ქართული ენა და ლიტერატურა
(მეთოდიკა)

თქვენი მიზანია გაარკვიოთ, ისწავლეს თუ არა მოსწავლეებმა არსებითი სახელის ბრუნება და იყენებენ თუ არა ამ ცოდნას პრაქტიკულად. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობაა ამისათვის ყველაზე უფრო მიზანშეწონილი?

(ა) მოსწავლეებმა უნდა ჩამოთვალონ არსებითი სახელის ბრუნვები და შესაბამისი ბრუნვის ნიშნები

(ბ) დაფაზე თანმიმდევრობით ჩამოწერილია ბრუნვები. იქვე მოცემულია არსებითი სახელი „ბავშვი“. მოსწავლეებმა უნდა მიუწერონ ეს სახელი თითოეულ ბრუნვას შესაბამისი ბრუნვის ნიშნით

(გ) მოსწავლის ამოცანაა, წინადადებებში, რომლებშიც გამოტოვებულია სიტყვები, ჩასვას არსებითი სახელები სწორი ბრუნვით, გამოყოს ბრუნვის ნიშნები და დაასახელოს ბრუნვა

(დ) მოსწავლის ამოცანაა, მოძებნოს ტექსტში 7 არსებითი სახელი, აბრუნოს და ჩაწეროს რვეულში

სწორი პასუხია (გ).

კითხვისა და წერის სწავლება

(კითხვის სწავლების თანამედროვე სტრატეგიების ცოდნა და მათი პრაქტიკულად გამოყენების უნარი)

ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობა <u>არ გამოდგება</u> ბავშვებში ბგერითი ანალიზისა და სინთეზის უნარის გასავითარებლად?

(ა) სიტყვაში „ბალი“ შეცვალე ერთი ბგერა ისე, რომ სხვა სიტყვა გამოვიდეს

(ბ) დაასახელე პირველი ბგერა სიტყვაში „თოვლი“

(გ) დაფაზე დავწერ სიტყვებს, შენ ეს სიტყვები რვეულში გადაწერე

(დ) მე გეტყვი სიტყვებს დაშლილად, შენ უნდა მითხრა, რა სიტყვა გამოვიდა

სწორი პასუხია (გ).

კითხვისა და წერის სწავლება

თათია I კლასის მოსწავლეა. მასწავლებელმა შენიშნა, რომ მას წერის დროს ერთმანეთში ერევა *შ* და *წ*, *მ* და *ნ*. მასწავლებელი შეეცადა, დახმარებოდა გოგონას და უთხრა: „თათია, შეხედე, *შ*-ს მუცელი მარცხნივ აქვს, *წ*-ს კი – მარჯვნივ, *მ*-ს ქუდი მარცხენა მხარეს იყურება, *ნ*-ს ქუდი კი – მარჯვენა მხარეს. შეეცადე დაიმახსოვრო!“

I. დაეხმარება მასწავლებლის მინიშნება თათიას? პასუხი დაასაბუთეთ.

II. აღწერეთ სტრატეგია, რომლითაც თქვენ დაეხმარებოდით თათიას ამ სირთულის დაძლევაში.

ბუნებისმეტყველება

(საგნობრივი ცოდნა)

ქვემოთ მოცემულია ორი სვეტი. მარცხენა სვეტში წარმოდგენილია მცენარის ორგანოები, მარჯვენაში კი – მათი ძირითადი ფუნქციები. დაადგინეთ შესაბამისობა ორგანოებსა და მათ ძირითად ფუნქციებს შორის.

შეავსეთ გრაფები ნიმუშის მიხედვით (პასუხის გამეორება დასაშვებია).

(ა) ფესვი	1. წყლის აორთქლება
(ბ) ღერო	2. ნივთიერებათა გატარება
(გ) ყვავილი	3. სუნთქვა
(დ) ფოთოლი	4. გამრავლება
	5. შეწოვა
	6. ფოტოსინთეზი

1	2	3	4	5	6
დ	ბ	დ	გ	ა	დ

მათემატიკა

(საგნობრივი ცოდნა)

გაძვირების შემდეგ 24 რვეული იმდენივე ღირდა, რამდენიც 30 ისეთივე რვეული – გაძვირებამდე. რამდენი პროცენტით მოიმატა რვეულის ფასმა?

(ა) 15%-ით
(ბ) 20%-ით
(გ) 25%-ით
(დ) 30%-ით

სწორი პასუხია (გ).

მათემატიკა

(მეთოდიკა)

სასწავლო წლის ბოლოს თქვენმა კოლეგამ გაგიზიარათ შთაბეჭდილება I კლასის მოსწავლეების შესახებ. გითხრათ, რომ, ზოგადად, კმაყოფილია მათემატიკაში მათი მიღწევებით, აღნიშნა, რომ უმრავლესობა უშეცდომოდ და სწრაფად ასრულებს რიცხვების შეკრება/გამოკლებას 20-ის ფარგლებში როგორც ზეპირად, ასევე წერილობით. მათი საყვარელი აქტივობაა შეჯიბრი – ვინ უფრო მეტ მოქმედებას შეასრულებს უშეცდომოდ შეზღუდულ დროში, თუმცა იქვე აღნიშნა:

– მხოლოდ ერთი მოსწავლე მყავს ძალიან სუსტი. მართალია, მას შეუძლია 20-მდე დათვლა და რიცხვების ჩაწერა, მაგრამ ძალიან უჭირს შეკრება/გამოკლება, რადგან ანგარიშისას იშველიებს თითებს და სწორედ ეს აკარგვინებს დიდ დროს.

1. გამოდგება თუ არა ასეთ შეჯიბრში მიღებული შედეგი 20-ის ფარგლებში რიცხვების შეკრება/გამოკლების წარმატებით ათვისების ინდიკატორად? პასუხი დაასაბუთეთ.

2. ეთანხმებით თუ არა პედაგოგის შეხედულებას, რომ მოსწავლე, რომელიც ანგარიშისას თითებს იყენებს, სუსტია? პასუხი დაასაბუთეთ.

აკადემიური უნარები

• წაკითხული ტექსტის გააზრება;
• ანალიტიკური წერა.

წაკითხული ტექსტის გააზრება

• წარმოდგენილია თემატურად მრავალფეროვანი ტექსტები;

• თითოეულ ტექსტს ახლავს 5-6 შეკითხვა (არჩევითი პასუხებით);

• პედაგოგმა უნდა შეძლოს ტექსტიდან ინფორმაციის მოპოვება, ინტერპრეტირება, გაანალიზება და შეფასება.

წაკითხული ტექსტის გააზრება

სპენსერის აზრით, თამაში არის ორგანიზმში დაგროვილი ჭარბი ენერგიის ხარჯვა წინასწარ განსაზღვრული მიზნის გარეშე. მაგრამ ვინაიდან ბავშვის თამაშს ყოველთვის აქვს გარკვეული შინაარსი, სპენსერი იძულებულია ამის ასახსნელად, „ჭარბი ენერგიის“ ცნებასთან ერთად, „მიბაძვის“ ცნებასაც მიმართოს: ბავშვი მიმბაძველი არსებაა, მისი თამაშის შინაარსი დიდების საქმიანობის, სხვადასხვა აქტივობის მიბაძვის საფუძველზე იქმნება. ამით აიხსნება, რომ ბავშვი ცხენობანას თამაშობს, „სახლებსა“ და „კოშკებს“ აგებს და ა.შ.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ წინადადებაშია წარმოდგენილი ბავშვის თამაშის განმაპირობებელი ფაქტორი?

(ა) თამაშის დროს ორგანიზმი თავისუფლდება ზედმეტი ენერგიისგან

(ბ) უფროსების სხვადასხვა ტიპის აქტივობა ბავშვის თამაშის მრავალფეროვნების საფუძველია

(გ) წინასწარ დასახული მიზნის არარსებობის გამო ბავშვი იძულებულია დახარჯოს ჭარბი ენერგია

(დ) თამაშის შინაარსი უფროსების ქცევაზე დაკვირვებითაა განსაზღვრული

სწორი პასუხია (ა).

ანალიტიკური წერა

(ესეს ტიპის დავალება)

დავალების შესრულება გულისხმობს:

• გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით აზრის წერილობით გამოთქმას, მსჯელობას;

• საკუთარი პოზიციის გამყარებას არგუმენტებითა და მაგალითებით.

ანალიტიკური წერა

„ახალგაზრდა ერთდროულად თავის თავში დაჯერებულიც არის და თავგზააბნეულიც“. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელსაც ადამიანი ახალგაზრდობის ასაკში იღებს, პროფესიის არჩევაა. რას ურჩევდით ახალგაზრდას, რომელიც ამგვარი არჩევანის წინაშეა და დახმარებისთვის მოგმართავთ.

წარმოადგინეთ თქვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით:

• განიხილეთ ფაქტორები, რომლებზეც უნდა გაამახვილოს ყურადღება ახალგაზრდამ პროფესიის არჩევისას;

• იმსჯელეთ სწორი/არასწორი არჩევანის შესაძლო შედეგებზე;

• მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

გისურვებთ წარმატებას!

www.naec.ge; www.elva.ge
382673; 382674; 140991

საგანმანათლებლო კერა

განათლების კერები მესხეთში

დასასრული. დასაწყისი იხ. №8-9

კერძოდ, მას ჰქონდა „ხარაზისა და სლესარის“ განყოფილებები. საშუალოდ, წელიწადში 211 მოსწავლეს ამზადებდა, საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ახალციხის მაზრის უფროსს, გრაფ ტიბენ ჰაუზენს ახალციხის საქალაქო სკოლასთან გაუხსნია სახელოსნო განყოფილება და სასწავლო ფერმა.

მოგვიანებით, 1910 წლის 14 სექტემბერს, საქალაქო სასწავლებლის ბაზაზე, აღმოცენდა პროგიმნაზია, რომელიც 1917 წელს გიმნაზიად გადაკეთდა. 1921 წლიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, გიმნაზიის ბაზაზე, აღმოცენდა ცხრაწლიანი შრომითი სკოლა, რომელიც შემდგომ გადაკეთდა საშუალო სკოლად – ქ. ახალციხის №1 საშუალო სკოლად. ამდენად, 1831 წელს ქ. ახალციხეში დაფუძნებული სამაზრო სკოლის პირდაპირი და კანონმემკვიდრეა №1 საშუალო სკოლა.

2. კარაპეტას სომხური სასწავლებელი დაარსდა 1836 წელს (ე.ი. მეფის რუსეთის მიერ თურქეთიდან სამხრეთ საქართველოში სომხების კოლონიზაციის შემდეგ), ეპისკოპოს კარაპეტას სახელობის ეკლესიის ხარჯზე. ათი წლის განმავლობაში უსწავლია 4197 მოსწავლეს, ე.ი. წელინადში, საშუალოდ, 419 მოსწავლე სწავლობდა. აღნიშნული მდგომარეობით, ე.ი. 1886 წელს, მუშაობდა 16 მასწავლებელი.

3. ელიზავეტას სახელობის ქალთა სასწავლებელი დაარსდა 1869 წელს და ფუნქციონირებდა სომხური ეკლესიის ხარჯზე. წელიწადში, საშუალოდ, 355 გოგონა სწავლობდა. 1886 წელს 11 მასწავლებელი მუშაობდა.

4. 1871 წელს ანნა ბესარიონის ასულმა მუსხელიშვილმა-ღოღობერიძემ დააარსა ქალთა უფასო სკოლა ქალაქ ახალციხის ძველ ნაწილში – რაბათში. საშუალოდ, წელიწადში 47 მოსწავლეს ამზადებდა, 1886 წელს სწავლობდა 56 გოგონა, მუშაობდა ორი მასწავლებელი (ქალი). ქალაქის გამგეობა, ყოველწლიურად, მასწავლებელს 300 მანეთით ეხმარებოდა.

აღნიშნული სასწავლებლის შესახებ სრულ ინფორმაციას გვაწვდის აგრეთვე XIX-XX საუკუნეების მესხი საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე გვარამაძე. მიუთითებს, რომ ანნა მუსხელიშვილმა-ღოღობერიძემ ქალთა სასწავლებელი რაბათში (ახალციხის ძველ ნაწილში) – ნაქირავებ სახლში დააარსა. თავდაპირველად, თვითონ ასწავლიდა გოგონებს, ხოლო შემდეგ თბილისიდან და ქუთაისიდან მიიწვია ორი მასწავლებელი როგორც რუსული ქართული ენების, ასევე ქსოვისა და ქარგვის შესასწავლად. მათ თავის სახლში აცხოვრებდა და ხელფასსაც თვითონ აძლევდა. საღვთო რჯულის მასწავლებლად მოწვეული ჰყავდა მღვდელიც. სასწავლებლის დაარსებიდან ოთხი წლის შემდეგ, თბილისში საცხოვრებლად გადასვლის გამო, სასწავლებელი ჩაუბარებია გამომძიებელ სულხანოვისათვის, ხოლო შემდეგ სკოლის გამგებლობა მაზრის უფროსის, პავლოვის ხელში გადასულა. მისი გამგებლობის დროს აუგიათ სასწავლებლის ქვითკირის შენობა. პავლოვის შემდეგ, ცხრა წლის განმავლობაში სასწავლებელს განაგებდა მარიამ გრიგოლის ასული გამრეკელი. „მეტადრე გაუმჯობესა მან ბალიშის პირების ქარგვის, სუფრების ქარგვისა და თეთრეულის კერვის სახეები. ასე რომ, მნახველნი დიდად კმაყოფილნი რჩებოდნენ „ხელოვნების სიმშვენიერით“. ამრიგად, რაბათის ქალთა სასწავლებელი, თავისი სპეციფიკით, პროფესიულ სასწავლებელს წარმოადგენდა, რამდენადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ხელსაქმის შესწავლას. ანტონ ნებიერიძე სამართლიანად მიუთითებდა, რომ ახალციხის ქალთა უფასო სკოლის მიზანი იყო, მოსწავლეებისთვის, ზოგად განათლებასთან ერთად, პროფესიული ცოდნა მიეცათ და პრაქტიკული საქმიანობისათვის მოემზადებინათ.

კონსტანტინე გვარამაძის ცნობით, ხსენებულ სასწავლებელში საღვთო რჯულს უფასოდ ასწავლიდნენ მღვდელი იოანე გვარამაძე და დეკანოზი მამა დიმიტრი ხახუტაშვილი. ივანე გვარამაძის მიერ გაზეთ „დროებაში“ წარმოდგენილი კორესპონდენციიდან ირკვევა, რომ სასწავლებელს დიდ დახმარებას უწევდა მაზრის უფროსი ნიკოლოზ ალექსიევ-მესხიევი. ავტორი იქვე მიუთითებდა, რომ იგი ათი წლის განმავლობაში სკოლის სასარგებლოდ ხან სპექტაკლებს, ხან საღამოებს მართავდა და ამგვარად შეგროვილი ფულით ინახავდა სკოლას. მას სკოლის დამაარსებლად და სულისჩამდგმელად ასახელებდა.

XIX–XX საუკუნეთა მიჯნაზე, ქართულ პერიოდიკაში, მრავალი ცნობაა დაცული ახალციხის დედათა სკოლის შესახებ. კორესპონდენციების საფუძველზე ირკვევა, რომ სასწავლებელი დიდ ეკონომიკურ გაჭირვებას განიცდის. იგი, ძირითადად, არსებობდა შემოწირულობის საფუძველზე. 1908 წელს კონსტანტინე გვარამაძემ, ადგილობრივი საზოგადოებრიობის წინაშე აღნიშნული სასწავლებლის შესანახად, საქველმოქმედო კომიტეტის დაარსების საკითხი დააყენა. კ. გვარამაძის წინადადება განხორციელდა, შეიქმნა საქველმოქმედო კომიტეტი, გარდა ამისა, კ. გვარამაძე მიუთითებდა, რომ აღნიშნულ სასწავლებელში გოგონებისთვის ესწავლებინათ ჭრა-კერვა, რაც, მისი აზრით, აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა, მეტადრე ღარიბი გლეხებისთვის. როდესაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება ჩამოყალიბდა, კ. გვარამაძემ წამოაყენა წინადადება, რომ რაბათის დედათა სასწავლებელი ახალციხის განყოფილებას დაქვემდებარებოდა.

კონსტანტინე გვარამაძე

უნდა აღინიშნოს, რომ ახალციხის ქალთა უფასო სასწავლებლის დაფუძნებას, იმთავითვე, დიდი მოწონებით შეხვდა ქართველი ინტელიგენცია, შეძლებისდაგვარად უწევდა მატერიალურ დახმარებას. სკოლით აღფრთოვანებული იაკობ გოგებაშვილი წერდა: „იმედი ვიქონიოთ, რომ ახალციხის ქალთა უფასო სკოლა ჰპოვებს მიმბაძველებს ჩვენი კუთხის სხვა სამაზრო ქალაქებში და იქნება ნიმუში ქალთა უფასო სკოლების დაარსებისა და ორგანიზაციისა, რომელთა საჭიროება ყველგან ასე ძლიერ იგრძნობა.“

დასახელებული სკოლის ფუნქციონირებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან დიდი როლი შეასრულა მესხეთში ქალთა განათლებისა და პროფესიული დახელოვნების საქმეში. აგრეთვე, ხელი შეუწყო ქსოვისა და ქარგვის ხალხური ტრადიციების დაცვას და შენარჩუნებას. აღსანიშნავია, რომ დასახელებული სასწავლებლის მოსწავლეთა ნამუშევრებმა დღემდე მოაღწია და ამ კუთხის მცხოვრებთა საოჯახო რელიქვიებად იქცა, ნაწილი დაცულია სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში. ამასთანავე, ალექსანდრე ფრონელის (ყიფშიძის) სამართლიანი შენიშვნით, იგი წარმოადგენდა „ერთ-ერთ ზღუდეს აქაური გამქრალი ქართველებისა.“

5. კათოლიკური სკოლა დაარსდა 1851-1852 წლებში, რაბათში, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ხარჯზე, პავლე შაყულიანის (ჭილიმუზაშვილის) მმართველობის დროს. ათი წლის განმავლობაში აქ განათლება მიიღო 578-მა ვაჟმა, წელიწადში, საშუალოდ, 58 მოსწავლე სწავლობდა. 1886 წელს სასწავლებელში 61 მოსწავლე და 1 მასწავლებელი იყო.

6. სომხურ-კათოლიკური შერეული სკოლა 1832 წელს დაარსდა. აქ წელიწადში, საშუალოდ, 38 მოსწავლე სწავლობდა.

7. ებრაელთა სასწავლებელი. ებრაელი ბავშვები იკრიბებოდნენ რაბინთან, რომელიც ასწავლიდა ლოცვასა და რელიგიის წარმოშობას. სწავლება ებრაულ ენაზე მიმდინარეობდა, რაც ბავშვებისთვის გაუგებარი იყო. წელინადში, საშუალოდ, 37 მოსწავლე ჰყავდათ, ხოლო 1884-1885 წლებში სწავლობდა 50 ვაჟი.

ამგვარად, XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის ქ. ახალციხეში არსებული 7 სასწავლებლიდან ოთხი იყო ვაჟების, ორი – ქალების, ერთი – შერეული. 1886 წლის მდგომარეობით, შვიდივე სასწავლებელში მუშაობდა 38 მასწავლებელი (30 – მამაკაცი და 8 – ქალი).

XX საუკუნის დასაწყისი, სამცხე-ჯავახეთში, განათლების სფეროში დიდი წარმატებით აღინიშნა. რაც გამოიხატა იმაში, რომ ახალციხეში აღმოცენდა საშუალო ტიპის სასწავლებელი – პროგიმნაზია, რომელიც შემდეგ გიმნაზიად გადაკეთდა.

გიმნაზიის გახსნის საკითხი ადგილობრივმა მოსახლეობამ მთავრობის წინაშე ჯერ კიდევ 1908 წელს დააყენა. ხალხის თხოვნა შეწყნარებულ იქნა 1910 წელს. „30 მაისს ქ. ახალციხის თავმა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისაგან დეპეშა მიიღო: გადაწყდა, ახალციხეში 1 ივლისიდან გაიხსნას ოთხკლასიანი პროგიმნაზია.“ – წერდა კ. გვარამაძე. პროგიმნაზია აკურთხეს 1910 წლის 14 სექტემბერს, კურთხევას კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ბ. რუდოლფი დაესწრო.

ეს სასწავლებელი გამიზნული იყო მხოლოდ ვაჟთათვის. ამიტომ, 1911 წელს პროგიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ განიხილა ქალაქის თვითმმართველობის ოქმი, რომ მომავალი სექტემბრიდან სასწავლებელი ორივე სქესის მოსწავლეთათვის გადაკეთებულიყო. ქალაქის საბჭო პროგიმნაზიის ინსპექტორს, ბ. ვერესოვს თხოვდა თანხმობას და შუამდგომლობას კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე აღძრული საკითხის თაობაზე. პედაგოგიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომ იზრუნებდა მომავალი სექტემბრიდან პროგიმნაზიაში ორივე სქესის მოსწავლეთა სწავლების დაწყებაზე. ამასთანავე, მოსწავლე ქალთა წლოვანება 15 წლით განისაზღვრა. 1917 წელს პროგიმნაზია გიმნაზიად გადაკეთდა.

აღნიშნულ სასწავლებელს დიდი ამაგი დასდო კონსტანტინე გვარამაძემ. „ახალციხის რუსულ გიმნაზიაში მან რამდენიმე წლის განმავლობაში უფასოდ, უჯამაგიროდ, დამამცირებელ გარემოებაში თავს იდვა ქართული ენის პირველადი სწავლება“. მისი დამსახურება იყო ისიც, რომ ყურადღება მიექცა ქართული ენის სწავლებას. 1915 წლის სექტემბრიდან ქართული ენის სწავლება სავალდებულო გახდა მოსწავლეთათვის, ამიერიდან მისაღები გამოცდებიც დედა ენაზე ტარდებოდა.

ამგვარად, XIX–XX საუკუნეთა მიჯნაზე, სამცხე-ჯავახეთში, გაფართოვდა დაწყებითი სკოლების ქსელი, სხვადასხვა საზოგადოებების ნივთიერი დახმარებისა და ხალხის დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე. აქვე აღსანიშნავია, რომ განათლების სფეროში მოკალათებული რუსი მოხელეები ყოველნაირად ცდილობდნენ სკოლების გახსნის შეზღუდვას, ქმნიდნენ ხელოვნურ წინააღმდეგობას. აქედან გამომდინარე, სკოლების გახსნა მეტად დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. იაკობ გოგებაშვილი წერდა: „არც ერთი სკოლა, რაც უნდა პაწაწკინტელა იყვეს, არ შეიძლება გაიხსნას, თუ ამას არ წაუმძღვანეთ წინ გრძელი ფორმალური მიწერმოწერა მთავრობასთან და არ მიიღეთ უკანასკნელის ნებართვა... თუ არადა სკოლას უსათუოდ ანდერძის აგება და დამარხვა მოელის.“ რუსიფიკატორული პოლიტიკის მიუხედავად, სამცხე-ჯავახეთში, აღნიშნულ პერიოდში, შესაძლებელი გახდა ათობით სხვადასხვა ტიპის სკოლის დაარსება. მოხსენიებულმა სკოლებმა დიდი წვლილი შეიტანეს ადგილობრივი მოსახლეობის განათლებისა და კულტურული დაწინაურების საქმეში, მათი ეროვნული ცნობიერების გაღვიძება-შენარჩუნებასა და, შესაბამისად, ეროვნული გადაგვარების თავიდან აცილებაში.

ნატო ყრუაშვილი
ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პედაგოგიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის მეცნიერი მუშაკი

ინფორმაცია

* * *

„სიყვარულო ძალსა შენსა!” – პოეტის ეს მარად უჭკნობი ფრაზა გახდა სახელწოდება იმ ზეიმისა, რომელიც 2 მარტს ახალციხის №5 საჯარო სკოლის IIდ კლასის მოსწავლეებმა შესთავაზეს დამსწრე საზოგადოებას. კლასის ხელმძღვანელის, **ზოია ზაზაშვილისა** და მუსიკის მასწავლებლის, **მაია მაისურაძის** თავდაუზოგავი შრომის წყალობით, 17-მა პატარა „მსახიობმა“ ნამდვილი სიყვარულის ზეიმი მოაწყო სკოლის სააქტო დარბაზის სცენაზე.

„სიყვარულო, ძალსა შენსა!” – ეს ფრაზა შემთხვევით არ შეურჩევიათ. ზეიმის მიზანი იყო სამშობლოს, და-ძმური, დედაშვილური, ქალ-ვაჟის სიყვარული.

პატარებმა მთელი სული და გული ჩადეს მათ მიერ წარმოთქმულ სიტყვებში, სიმღერებსა და ლექსებში. ბავშვური უმანკოებით მოეფერნენ მშობლებს, მასწავლებლებს...

ზეიმს ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი, ქალბატონი **ჟენია მერაბიშვილი**, სასწავლო ნაწილის გამგეები: **მარიამ კაჭკაჭაშვილი** და **ნანა დათაშვილი**, პედაგოგები და მშობლები.

პატარების მიერ მხატვრულად წაკითხულმა შინაარსიანმა ლექსებმა, სიმღერებმა, შესრულებულმა როლებმა, ზეიმის დასრულების შემდეგ, დამსწრე საზოგადოების მაღალი შეფასება დაიმსახურა.

სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **ჟენია მერაბიშვილმა** ასე მიმართა პატარებს: *„როგორ გაზრდილხართ, დახვეწილხართ, გამართულად საუბარი და სიმღერა გისწავლიათ, კარგი მსახიობები გამხდარხართ. იმედი მაქვს, ამ ლამაზ სიტყვებს ცხოვრებაშიც არ დაივიწყებთ.”* ქალბატონმა ჟენიამ მადლობა გადაუხადა კლასის ხელმძღვანელს, მუსიკის მასწავლებელსა და მშობლებს გაწეული თანადგომისათვის; საქებარი სიტყვები მოისმინეს მეორეკლასელებმა სასწავლო ნაწილის გამგეებისგანაც; აღფრთოვანება ვერ დამალეს მოსწავლეთა მშობლებმა. მათ მადლობა გადაუხადეს კლასის ხელმძღვანელსა და მუსიკის მასწავლებელს გაწეული შრომისათვის.

შორენა გაბოშვილი
მშობელი

სკოლის ფსიქოლოგთა დასახმარებლად

ბავშვთა მიმართ ძალადობა
რეკომენდაციები პედაგოგებისთვის

რუბრიკას უძღვება საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდის ფსიქოლოგი ქეთევან თავართქილაძე

როდის მივიტანოთ ეჭვი ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე და როგორ მოვიქცეთ

პედაგოგებს ხშირად აქვთ შეხება ძალადობაგანცდილ/ძალადობის რისკის ქვეშ მყოფ ბავშვებთან. დროულ ჩარევას და სხვადასხვა სპეციალისტების ერთობლივ მუშაობას ძალადობის მსხვერპლი/რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების გამოვლენისა და ძალადობის ფაქტზე დროული რეაგირებისთვის, თითოეული შემთხვევის ეფექტურად გადაჭრისა და ბავშვის ძალადობისგან დაცვისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

2010 წლის 7 ივნისს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანების №152/ნ საფუძველზე, ძალაში შევიდა დოკუმენტი „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები“. ამ დოკუმენტის მიზანია ოჯახში და მის გარეთ ძალადობის ყველა ფორმისგან ბავშვთა დაცვის ხელშეწყობა, ძალადობისგან ბავშვთა დაცვის კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება.

აღნიშნული დოკუმენტის ფარგლებში, ბავშვზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენა ევალება ყველა დაწესებულებას, რომელიც ბავშვთან ურთიერთობს – სკოლას, სამედიცინო დაწესებულებას, სოფლის ექიმს, ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებას, სააგენტოს, საუბნო სამსახურს, საპატრულო პოლიციას.

ბავშვის ძალადობისაგან დასაცავად პედაგოგმა აუცილებლად უნდა იცოდეს ბავშვთა მიმართ ძალადობის გავრცელებული ფორმები, ის ფიზიკური ნიშნები და ემოციურ-ქცევითი თავისებურებები, რომლებიც, შესაძლებელია, აღენიშნებოდეს ძალადობაგანცდილ ბავშვს. მას ასევე უნდა ჰქონდეს ზუსტი ინფორმაცია იმ ნაბიჯების შესახებ, რომლებიც მან უნდა გადადგას ბავშვის მიმართ ძალადობაზე ეჭვის გაჩენის შემთხვევაში.

პრობლემის სერიოზულობა

◆ ბავშვთა მიმართ ძალადობის შედეგები სერიოზულია.

◆ ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანი ბავშვს ბავშვობის გვიან წლებამდე, მოწიფულობამდე და ზრდასრულ ასაკამდეც კი მიჰყვება.

◆ ძალადობა ბავშვის განვითარების ყველა ასპექტზე ახდენს გავლენას: ბავშვის თავის ტვინის სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე, ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებაზე, ემოციურ განვითარებაზე, სოციალურ კეთილდღეობაზე.

◆ ბავშვობაში განცდილ ძალადობას უკავშირდება დამოკიდებულება ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე, ასევე ონკოლოგიური და ფილტვების ქრონიკული დაავადებები, დეპრესია, მთელი რიგი სხვა დაავადებებისა..

◆ კვლევებით დადგენილია, რომ ზრდასრულ კრიმინალთა უდიდესი ნაწილი ბავშვობაში ძალადობას განიცდიდა.

ტერმინთა განმარტებები

ბავშვთა მიმართ ძალადობისა და მისი ფორმების განმარტებები

◆ **ძალადობა** – პირის მიერ ბავშვის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით;

◆ **ფიზიკური ძალადობა** – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის და განვითარების მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ბავშვის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

◆ **ფსიქოლოგიური ძალადობა** – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ბავშვის პატივისა და ღირსების შელახვას და რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბავშვის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს;

◆ **სექსუალური ძალადობა** – ბავშვთან სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება ბავშვის მონაწილეობით;

◆ **ეკონომიკური ძალადობა** – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;

◆ **იძულება** – ბავშვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნებასურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

საფუძვლიანი ეჭვი

ბავშვის მიმართ ძალადობაზე ეჭვი საფუძვლიანად ითვლება შემდეგ შემთხვევებში:

◆ ბავშვზე სხეულის დაზიანების არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;

◆ ბავშვზე სხეულის დაზიანების არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;

◆ ბავშვზე სხეულის დაზიანების არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: მშობლის არაადეკვატური ქცევა;

◆ ბავშვის საეჭვო ქცევის არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;

◆ ბავშვის საეჭვო ქცევის არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;

◆ ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;

◆ მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;

სხვ.

გადაუდებელი მდგომარეობა

◆ მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ბავშვის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ან შეიძლება გამოიწვიოს მისი სიკვდილი ან დაინვალიდება.

პედაგოგს ყურადღება მართებს ბავშვზე ძალადობის შემდეგი ნიშნების აღმოჩენისას:

ფიზიკური ნიშნები

ნიშნები, რომელთა გამოვლენისას ძალადობის შესაძლებლობას განიხილავთ:

◆ სერიოზული ან უცნაური დაზიანებები, რომელთა ახსნა არასარწმუნოა;

◆ ხშირი ავადმყოფობა, სკოლის ხშირი გაცდენები;

◆ ქრონიკული ტრავმები;

◆ პირადი ჰიგიენის დაბალი დონე.

ნიშნები, რომლებიც ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე ეჭვს ბადებს:

◆ **დაზიანებები**

– ხელის მტევნის, ნაკბილარის, ქამრის ბალთის ან რაიმე საგნის ფორმის;

– სხვადასხვა ფერის სისხლჩაქცევები;

– სახისა და სხეულის არაძვლოვან ნაწილებზე, მათ შორის, თვალებზე, ყურებზე, დუნდულოებზე.

◆ **ჭრილობები, ნაკაწრები**

– არეებში, რომლებიც, ჩვეულებრივ, ტანსაცმლითაა დაცული, ან თვალებზე, ყურებზე და სახეზე.

◆ **დამწვრობები**

– რბილ ქსოვილებზე, სადაც ცხელი საგნების შემთხვევითი მოხვედრა შეუძლებელია, მაგ., ფეხის გულები, დუნდულოები, ზურგი;

– საგნის ფორმის (მაგ., უთოს, თეფშის).

◆ **მოტეხილობები**

– დაზიანებები, ჭრილობები, დამწვრობები, მოტეხილობები აღენიშნება ბავშვს, რომელსაც დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლია ან/და რომელთა ახსნა არ არსებობს ან არასარწმუნოა;

– მეტყველების დეფექტები.

სექსუალური ძალადობა

ნიშნები, რომელთა გამოვლენისას სექსუალური ძალადობის შესაძლებლობას განიხილავთ:

◆ მოზარდთა ორსულობა, რომელსაც:

– მოზარდსა და ბავშვის სავარაუდო მამას შორის დიდი სხვაობაა ასაკის, ფსიქიკური და ფიზიკური განვითარების მხრივ;

– სექსუალური აქტივობა არ იყო ნებაყოფლობითი.

◆ ქავილი გენიტალიებში;

◆ ასაკისადმი შეუფერებელი სექსუალური ქცევისა და ცოდნის გამოვლენა;

◆ პერიოდული ჩივილები ტკივილზე მუცლის არეში;

◆ მოუსვენრობა ან პასიურობა, როცა ადრე ასეთი არ ყოფილა;

◆ უფროსების მიმართ უნდობლობა, ფამილარული დამოკიდებულება მათ მიმართ;

◆ ნარკოტიკების, ალკოჰოლის და ტოქსიკური ნივთიერებების მოხმარება.

ნიშნები, რომლებიც ბავშვის მიმართ განხორციელებულ სექსუალურ ძალადობაზე ეჭვს ბადებს:

◆ გაძნელებული სიარული და ჯდომა;

◆ ჰიპერსექსუალურობა ბავშვის ქცევაში;

◆ ხშირი მასტურბაცია;

◆ სახლიდან გაქცევები;

◆ სააბაზანოს, შხაპის, დაკეტილი კარების შიში;

◆ სამედიცინო შემოწმების შიში;

◆ ძილის დარღვევა (ღამის კოშმარები, ენურეზი, მარტო დარჩენის შიში ძილის დროს);

◆ არ სურს ან უარს აცხადებს გამოიცვალოს ტანსაცმელი;

◆ ინტერესი უფროსების, ბავშვების ან ცხოველების სასქესო ორგანოებისადმი.

უგულებელყოფა

ნიშნები, რომელთა გამოვლენისას უგულებელყოფის შესაძლებლობას განიხილავთ:

◆ ბავშვი, რომელსაც მუდმივად შეუფერებელი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი აცვია (მაგ., სეზონისათვის, ბავშვის ზომისათვის);

◆ მშობლები/მეურვეები, რომლებსაც არ მიჰყავთ ბავშვი ექიმთან სერიოზული და/ან გახანგრძლივებული დაზიანებებისა და დაავადებების დროსაც კი;

◆ ბავშვი ჩამორჩება ზრდაში (წონა, სიმაღლე);

◆ არ არსებობს უფროსი, რომელიც შესაბამისად იზრუნებს ბავშვზე;

◆ მუნი და ტილები;

◆ ცხოველების ნაკბენები და ტრავმები (მაგ., დამწვრობა, მზით დამწვრობა, მავნე ნივთიერების მიღება) ზედამხედველობის არარსებობის გამო.

ნიშნები, რომლებიც ბავშვის მიმართ განხორციელებულ უგულებელყოფაზე ეჭვს ბადებს:

◆ სამედიცინო ჩარევის უარყოფა, საჭიროების მიუხედავად;

◆ ბავშვი მუდმივად ჭუჭყიანია და უსიამოვნო სუნი აქვს;

◆ ბავშვი მუდმივად მოთენთილია, გამოუძინებელი;

◆ ოჯახში არსებული შემდეგი გარემოებები:

– ჰიგიენის დაბალი დონე;

– ბავშვისთვის აუცილებელი საკვების ნაკლებობა;

– საცხოვრებელი გარემო, რომელიც საფრთხეს უქმნის ბავშვს.

დასასრული შემდეგ ნომერში

ინფორმაცია

დიდი ილია ბრძანებს: *„სკოლა – ერის ფუძე და მომავალია და მასწავლებელი ღონიერი და ჭირთა მძლეველი, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია“.*

სწორედ ამ საქმის ერთ-ერთი მეჩუქურთმეა შპს „მჭევრის“ დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლა, რომელიც 17 წელია, ყოველთვის ახლის ძიებაშია, იღვწის მოსწავლე-ახალგაზრდობის სულიერი, ინტელექტუალური, ფიზიკური განვითარებისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის.

სკოლის პედაგოგიური შემადგენლობა დაუღალავი შრომით ცდილობს, სკოლის აღსაზრდელებს მისცეს საფუძვლიანი ცოდნა და გაულამაზოს ყოველღდიური ყოფა. ქვეყანას აღუზარდოს გონებით ნათელი, სულით ჯანსაღი, ფიზიკურად ძლიერი ახალგაზრდობა.

საგაკვეთილო პროცესს თან ახლავს ისეთი სახის ღონისძიებების ჩატარება, როგორიცაა: კონკურსები, გამოფენები, პოეზიის საღამოები, ბიზნესპროექტები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან და უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებთან, რაც კიდევ ერთხელ განამტკიცებს მიღებულ ცოდნას.

მიმდინარე სასწავლო წელს მეტად საინტერესო და შთამბეჭდავი იყო შეხვედრა აკადემიკოს **ჯუმბერ ლომინაძესთან** და ინტელექტუალური თამაშის „რა, სად, როდის“ პრეზიდენტ **გიორგი მოსიძესთან**.

ბატონმა ჯუმბერმა ჩვეული უბრალოებით, საქმის სიღრმისეული ცოდნით, აღსაზრდელებისადმი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ისაუბრა ბუნებრივი კატაკლიზმების, გლობალური პროცესების შესახებ. მის მიერ წარმოდგენილი ვიდეომასალა თვალსაჩინოდ და გასაგებად იქნა მიწოდებული მოსწავლეებისათვის. ასევე გასაგებად და ამომწურავად უპასუხა მეცნიერმა მოსწავლეთა შეკითხვებს.

საინტერესო იყო შეხვედრა გიორგი მოსიძესთან. მოსწავლეებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მის მიერ სახალისოდ ჩატარებულმა კონკურსმა „რა, სად, როდის“.

მომავალში გათვალისწინებულია შეხვედრები თანამედროვე მწერლებთან, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლებთან, რათა მრავალმხრივ საინტერესო გავხადოთ დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის მოსწავლე ახალგაზრდობის ცხოვრება.

ლამზირა მელქაძე

დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

კონკურსი

გთავაზობთ ქობულეთის №2 საჯარო სკოლის პედაგოგის მერი ბეჟანიძის მიერ ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმას, რომელმაც საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მიერ ორგანიზებულ რესპუბლიკურ კონკურსში „საუკეთესო გაკვეთილი ქართულ ენასა და ლიტერატურაში“ მე-3 საპრიზო ადგილი მოიპოვა.

ინტეგრირებული გაკვეთილი

სკოლა – ქობულეთის მე-2 საჯარო სკოლა (არაქართულენოვანი სექტორი)

კლასი – X

მოსწავლეთა რაოდენობა – 19

საგანი – ქართული ენა და ლიტერატურა (ქართული, როგორც მეორე ენა)

მასწავლებელი – მერი ბეჟანიძე

გაკვეთილის თემა: აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“. შემაჯამებელი გაკვეთილი (არაქართულენოვანი სექტორი)

ინტეგრირებული საგნები: ისტორია, მუსიკა, ხელოვნება

გაკვეთილის მიზანი: გავარკვიოთ სწავლა-აღზრდის მნიშვნელობა და დანიშნულება ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში. გაკვეთილი ავითარებს სხვადასხვა სოციალურ უნარს (მოსაზრების არგუმენტირებული წარმოდგენა, დიალოგი, დარწმუნება, დავა), რაც ხელს უწყობს შემოქმედებითობის განვითარებას. ყურადღების გამახვილება, თუ რა მნიშვნელოვანი იყო მე-19 საუკუნის საქართველოში ქართული ჯანსაღი ტრადიციები და სწავლა-აღზრდის საქმე.

აქტივობები: აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ და ზოგადად ის ლიტერატურული წყაროები, რომლებიც ეძღვნება დიდაქტიკას. მე-19 საუკუნის ისტორიული ვითარება და შესაბამისად, ლიტერატურის დანიშნულება ამ პერიოდის საქართველოსთვის.

რესურსები:

ნახატები;

ბარათები;

მუსიკა.

მთავარი საფეხურები: ჯგუფებად დაყოფა.

ჯგუფების ფორმირება

მოსწავლეებს ვყოფთ ოთხ ჯგუფად:

„მეცნიერები“;

„ჟურნალისტები“;

„ღვთისმეტყველნი“;

„მხატვრები“-„მუსიკოსები“ (შემოქმედებითი ჯგუფი).

„მეცნიერთა“ მიზანია გაარკვიონ, თუ რატომ გახდა აუცილებელი მე-19 საუკუნის ლიტერატურაში დიდაქტიკური მოტივის შემოტანა. კერძოდ, მე-19 საუკუნის საქართველოში ჯანსაღი ტრადიციების დაცვის აუცილებლობა და სწავლა-აღზრდის მნიშვნელობა. ამ ჯგუფის წარმომადგენლებმა უნდა აღნიშნონ, რომ აკაკი წერეთელი ნაწარმოებს უძღვნის კონკრეტულად მასწავლებლებს, რადგან პედაგოგიური საქმიანობა, უპირველეს ყოვლისა, უდიდეს პასუხისმგებლობას გულისხმობს.

„ჟურნალისტებმა“ უნდა გამოააშკარაონ ნაწარმოების მთავარ გმირთა ცხოვრების წესი, აღზრდა და მათი პიროვნული ღირებულებანი; დააფიქრონ დადებითია თუ უარყოფითი მათი ქმედება.

„ღვთისმეტყველებმა“ უნდა დააფიქრონ, რამდენად აქვთ ნაწარმოების გმირებს შენარჩუნებული სულიერი სიფხიზლე. რისთვის და როდის ისჯება პიროვნება. სინანულის გზით მიიღწევა თუ არა სულიერი შვება და სინდისის თავისუფლება. მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ საღვთისმეტყველო პრობლემებზე, რომელთაც ისინი წააწყდებიან პოემაში.

„მხატვრებმა“ უნდა შეძლონ პოემის მიხედვით პეიზაჟის ჩახატვა ფერებში.

„მუსიკოსებმა“ უნდა გამოიცნონ, რომელი ჟანრის მელოდია წვდება მათ ყურთასმენას პოემის დასაწყისში და როდესაც საფარ-ბეგი მოძღვრის წინაშე წარდგება, ან ისმის თუ არა საერთოდ მუსიკა ნაწარმოებში.

გაკვეთილის შეჯამებისთვის ერთხელ კიდევ გავიხსენებთ პოემის ეპიზოდებს. გაკვეთილზე გვექნება კითხვები განსჯისათვის – ბარათების საშუალებით, მსჯელობა, კომენტარები.

ეპიზოდები:

- კავკასიონის ულამაზესი მთები;
- აფხაზი ბათუ;
- მოულოდნელი სტუმარი;
- საფარ-ბეგის განზრახვა;
- ბათუს გადაწყვეტილება;
- დავალების შესრულება;
- მტკიცე ნებისყოფა;
- ჰაჯი-უსუბის გადაწყვეტილება;
- „მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს თუ ბუნებამც არ უშველა“;
- აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია.

„ჟურნალისტებმა“ თავდაპირველად უნდა გაგვახსენონ, გაკვეთილის შეჯამებისთვის აფხაზი ბათუ, რომელსაც კავკასიონის მთის მწვერვალზე მოუწნავს ფაცხა და გაუმართავს ღარიბული, მაგრამ ლამაზი კარ-მიდამო, სადაც მისვლა მხოლოდ საცალფეხო გზით შეიძლება. ბათუ ღმერთის რჩეულია, გარეგნობით მოხდენილი ვაჟკაცი, პირდაპირი და ადათების ერთგული. მისთვის ყველაზე ძვირფასი და სათაყვანებელია იშვიათი სილამაზით შემკული, ზნეობრივად სპეტაკი ნაზიბროლა.

ბათუს საკუთარ სიცოცხლეზე მეტად უყვარს თავისი ძუძუმტე საფარ-ბეგი. ახალგაზრდა აფხაზი უაღრესად აფასებდა მორდუობას, ძმადნაფიცობას, ძუძუმტეობას. იგი ტრადიციას გულით ატარებს და სახიფათო დავალების შესრულებას თავად კისრულობს. მორდუობისა და სტუმართმასპინძლობის ჩვეულების დაცვა ბათუსათვის წმინდათაწმინდა მოვალეობაა. ის გამოირჩევა იშვიათი მოთმინებით, ხასიათის სიმტკიცით, საღი მსჯელობით, სულიერი წონასწორობით.

„ღვთისმეტყველთა“ მიზანია, დაანახონ ყველას, თუ როდის იწყება პიროვნების რღვევა. მიუთითონ, რომ როდესაც ეშმაკი ბოროტების საკეთებლად განეწყობა, ნებისმიერი მოკვდავისათვის რთული ხდება სულიერი სიფხიზლის შენარჩუნება. ეშმაკი ხომ რჩეულ ადამიანებს უფრო მეტად ებრძვის. მან შეაცდინა საფარ-ბეგი, ცრუ სიყვარულით დაუბრმავა თვალი და ზია-ხანუმის ნება-სურვილს დაუმორჩილა მისი გული. ალმასხიტ ინალიფას ცხენის მოპარვა ზია-ხანუმის სიხარბითაა ნაკარნახევი. საფარ-ბეგმა დაივიწყა ღვთის მცნება „არა იპარო“ და ცოდვის ქმნა გადაწყვიტა. სიყვარულის სახელით ბათუც კი აცდუნა. იგი არჩევანს ცხენის მოპარვაზე აკეთებს და თავსაც იმშვიდებს, რადგან ჰგონია ჭეშმარიტ სიყვარულს ემსახურება. ბათუს უფრო მეტი საბაბიც კი აქვს, მას ძმა ესტუმრა და დახმარებას სთხოვს. იგი ვერც კი აცნობიერებს, როგორ თანდათანობით კარგავს სულიერ სიფხიზლეს. ვეღარ გრძნობს კავშირს სამყაროს ჰარმონიასთან, ვერ ხვდება, რომ ბნელ ღამეში, ჭექა-ქუხილისას მხოლოდ ჯოჯოხეთის მოციქული თუ მოუვიდოდა სტუმრად. ღმერთი დაივიწყა ბათუმ, გადაწყვეტილება მიღებული აქვს: ან მოკლავს ცხენის პატრონს, ან სიცოცხლის ფასად მოიპარავს ცხენს.

„ჟურნალისტები“

საფარ-ბეგი უარყოფითი პიროვნებაა. აკაკი წერეთელი მას ხატავს, როგორც ხალხის ტრადიციის შემლახველს, ძმობისა და მეგობრობის უარმყოფელს. საფარ-ბეგმა არ დაინდო და შებღალა ძიძიშვილის ოჯახის სისპეტაკე. არ დაინდო მისთვის თავგანწირული ძმობილი და უმძიმესი სულიერი ტანჯვა მიაყენა. მან ისეთი ცოდვა ჩაიდინა, რომელსაც შენდობა არ აქვს. უკანმობრუნებული, მოძმისთვის თავდადებული ბათუ, როგორც კი გაბახებულ ნაზიბროლას დაინახავს, უცბად მოეგება გონს. მიხვდება დანაშაულს და მორჩილად, წამიერი დუმილით იღებს სასჯელს. სინანულის გზით კი ნაზიბროლასაც იბრუნებს და საფარ-ბეგსაც მოძღვართან აგზავნის.

საფარს უნარი შესწევს დანაშაულის შეცნობისა, მონანიებისა და სასჯელის ღირსეულად მიღებისაც. მას ესმის, რომ ცოდვილი ნაბიჯის გადადგმა არ ეკადრება, იგი სიკვდილზე თანახმაა. ბათუს ღრმა რწმენით მორდუობა ხელშეუხებელია, რაგინდ დიდი დანაშაულიც უნდა მიუძღოდეს ძუძუმტეს, მას ძიძიშვილი სასიკვდილოდ მაინც ვერ შეეხება:

არა! შენ ვერ შეგეხება,
სასიკვდილოდ ჩემი ტყვია:
დედაჩემის გაზრდილი ხარ,
მისი ძუძუ გიწოვია!..

ბათუმ საფარ-ბეგი შენდობილი გაუშვა, ოღონდ დაავალა, როცა ყაბარდოში ჩავიდოდა, ენახა გამზრდელი ჰაჯი-უსუბი და პასუხი ჩადენილ საქციელზე იმისგან მოესმინა.

საფარ-ბეგზე დადებითად იმოქმედა ძიძიშვილის მაღალმა ზნეობრივმა საქციელმა. იგი მზად არის, სიცოცხლის ფასად გამოისყიდოს დანაშაული, გამზრდელს დაწვრილებით უამბობს თავისი შეცოდების შესახებ და შემართულ დამბაჩას მორჩილებით უშვერს მკერდს. მაგრამ ყველაფერი დაგვიანებულია. მისი უზნეო საქციელის გამოსწორება აღარ შეიძლება. იგი აღმზრდელისა და ხალხის შემარცხვენელია.

შემდეგ მოსწავლეებმა უნდა აღნიშნონ, თუ როგორი ოსტატობით გააცოცხლა აკაკი წერეთელმა ბრძენი, სახალხოდ აღიარებული აღმზრდელის სახე. ჰაჯი-უსუბს ღრმად აქვს შეგნებული თავისი კეთილშობილი მოვალეობის – ადამიანის აღზრდის დიდი მნიშვნელობა და ღრმა პასუხისმგებლობა. მისი რწმენით აღმზრდელმა პასუხი უნდა აგოს თავისი აღზრდილის ქცევაზე და მოქმედებაზე. ასეთი მაღალი შეგნებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის მატარებელმა მოძღვარმა სიტყვებით:

შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!
და საფეთქელში „მიიჭედა ცხელი ტყვია“.

„ღვთისმეტყველნი“

ამ ჯგუფის წარმომადგენლებმა სასურველია აღნიშნონ, რომ ჰაჯი-უსუბი მუსლიმანია. ამ რელიგიის მიმდევარნი კი თვლიან, რომ საკუთარი სიცოცხლის ხელყოფა უფალთან მიახლოების უპირველესი გზაა.

ჰაჯი-უსუბმა თავი მოიკლა, მან ნაბიჯი გადადგა უფლისკენ და ჩამოირეცხა კიდეც (სიცოცხლის ფასად) საფარის ცოდვა. მოძღვარმა არა მხოლოდ თავისი, არამედ გაზრდილის დანაშაულიც გამოისყიდა.

(აქ ისტორიის მასწავლებელი ისაუბრებს რელიგიაზე და მე-19 საუკუნის ისტორიულ ვითარებაზე).

„მეცნიერები“

ამრიგად, პოემა „გამზრდელის“ პერსონაჟების პრინციპია შენდობა და დანაშაულის გამოსყიდვა.

ჰაჯი-უსუბი მარტო სიცოცხლეში კი არ იყო საფარის მოძღვარი, არამედ სიკვდილშიც. ალბათ მან სიკვდილით უფრო მეტი ასწავლა საფარ-ბეგს, ვიდრე სიცოცხლით.

ჰაჯი-უსუბმა საფარს არა იურიდიული, არამედ ზნეობრივი განაჩენი გამოუტანა. წარსულმა – ჰაჯი-უსუბმა მომავალს – საფარ-ბეგს პატიოსანი არსებობის უკვდავი გაკვეთილი მისცა.

აკაკი წერეთელი ნაწარმოებს უძღვნის კონკრეტულად მასწავლებლებს, რადგან პედაგოგიური საქმიანობა, უპირველეს ყოვლისა, უდიდეს პასუხისმგებლობას გულისხმობს. პოეტი თვლის, რომ ყოველი მასწავლებელი უფლის გზისა და კვალის მიმყოლია.

აკაკი თავის პოემაში სვამს კითხვას: *„მაგრამ მარტო წვრთნა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველა?!“*

პოემაში წარმოდგენილია ორი ძირითადი პრობლემა:

I. ადამიანის მორალური სიწმინდე, მის მიერ საუკეთესო ხალხურ ზნე-ჩვეულებათა დაცვის აუცილებლობა.

II. აღზრდის საქმეში აღმზრდელის როლი და პასუხისმგებლობა.

ადამიანის აღზრდაში პოეტი გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს აღზრდის ობიექტის თვისებას და იმ საზოგადოებრივ წრეს, რომელშიც მოქცეულია აღსაზრდელი.

„მხატვრები“

ამ ჯგუფს ევალება ნაწარმოებიდან პეიზაჟის ჩახატვა.

(ხელოვნების მასწავლებელი შეაფასებს მოსწავლეთა შემოქმედებას).

„მუსიკოსები“

ამ ჯგუფის წევრებმა უნდა აღნიშნონ, თითოეულ ეპიზოდს რომელი მუსიკა ესადაგება.

(მუსიკის მასწავლებელი ისაუბრებს, თუ რატომ აირჩიეს ესა თუ ის ნაწარმოები).

ჯგუფები ახდენენ თავიანთი მოსაზრებების პრეზენტაციას, ეძლევათ მსჯელობისა და არგუმენტების დაპირისპირების საშუალება. შესაბამისად, წვდებიან პრიორიტეტებს ნაწარმოებში.

თანაბარი ყურადღება ეთმობა თითოეულ ჯგუფს, რადგან მასალის ათვისება და გააზრება მიიღწევა სხვადასხვა დავალების სხვადასხვაგვარი გადაწყვეტის გზით, ხდება გაკვეთილის საბოლოო შეჯამება.

შემდეგ, ერთ-ერთი ჯგუფის ხელმძღვანელი მოსწავლეებს ურიგებს ბარათებს (შესრულების დრო – 5 წუთი).

მოსწავლეები პასუხობენ მოცემულ დროში ღია და დახურულ კითხვებზე.

ყოველი ჯგუფიდან თითო წარმომადგენელი დაახასიათებს ბათუს და საფარ-ბეგს (*მაგალითად:* რომელ გმირს შეესაბამება რომელი ეპითეტი: შრომისმოყვარე, გულზვიადი, უზნეო, ოჯახისადმი ერთგული, სულიერად დიადი, ძმობისა და მეგობრობის უარმყოფელი, მხდალი, ფუქსავატი, სულგრძელი, ტრადიციების შემბღალავი, თავშეკავებული, ვაჟკაცი, დანაშაულის შემგრძნობი და ა.შ.).

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად გაამახვილებს ყურადღებას საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე. პოემის მთავარი გმირი ხომ აფხაზი ბათუა, ქართული ტრადიციების ერთგული. ყველა ჯგუფის წევრი ჩაებმება კამათში, მათი სურვილი ერთია, რაც შეიძლება მალე დავიბრუნოთ აფხაზეთი და სამაჩაბლო.

„ღვთისმეტყველნი“ ამთავრებენ თავიანთ სიტყვებს მომავლის იმედით: ყველამ თავისი გზით იარა – იუდას მრევლმაც და ქრისტეს სამწყსომაც. დრო ვერ განკურნავს ჩვენს სისხლიან მწარე წყლულებს. თუმცა, გაჩნდა ხვალინდელი დღის იმედი, როგორც ამბობენ: „ახალი დღე თენდება და ნათდება“.

მასწავლებელი ურჩევს მოსწავლეებს, სადაც უნდა იყვნენ მხოლოდ სიკეთეს უნდა თესავდნენ, მუდამ ახსოვდეთ დიდი ილიას სიტყვები:

კაცად მაშინ ხარ საქები
თუ ეს წესი წესად დარგე,
ყოველდღე რომ შენს თავს ჰკითხო:
აბა, დღეს მე ვის რა ვარგე?!

მასწავლებელი შეაფასებს ჯგუფურ მუშაობას კომენტარებით: თუ შეესაბამებოდა ყველა მოსაზრება და არგუმენტი მოცემულ საკითხს; იყო თუ არა მსჯელობა თანმიმდევრული, დამაჯერებელი ტექსტური მასალით. ჯგუფებს შორის იგრძნობოდა თუ არა პატივისცემა განსხვავებული აზრის მიმართ.

გაკვეთილის ყველა მომენტი განაწილებულია 45 წუთზე.

მოსწავლეებს ეძლევა **საშინაო დავალება.**

009 აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო მიმართულებების ფართო სპექტრით. იგი თავის თავში აერთიანებს ქვეყნის სამი ძველი უმაღლესი სასწავლებლის გამოცდილებას და ტრადიციების ერთგულებასთან ერთად, წარმატებით ნერგავს სწავლების თანამედროვე ფორმებს, რომ დამკვიდრდეს კონკურენტუნარიან უნივერსიტეტად არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ ევროპულ საუნივერსიტეტო სივრცეში.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს მრავალწლიანი პარტნიორული ურთიერთობები აკავშირებს ევროპისა და ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებთან. მათ შორისაა: მისური-კოლუმბიის, მონტანას, მისური-როლას უნივერსიტეტები (აშშ), უელსის, ნოტინგემის უნივერსიტეტები (დიდი ბრიტანეთი), ანკარის უნივერსიტეტი (თურქეთი), ლატვიის უნივერსიტეტი (ლატვია), ვერსალის უნივერსიტეტი, აქვიტანიის პედაგოგთა მომზადების საუნივერსიტეტო ინსტიტუტი (საფრანგეთი), ბამბერგის, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტები (გერმანია), ბაქოს სლავური უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი), ნეჟინის, ხმელნიცკის უნივერსიტეტები (უკრაინა), გოეთეს ინსტიტუტი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისური-კოლუმბიის უნივერსიტეტთან დადებული მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც 1997 წლიდან მოქმედებს და გაცვლითი პროგრამებით ყოველწლიურად ხდება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის წარჩინებულ სტუდენტთა გაგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკონომიკის, განათლების მართვისა და კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით.

ხანგრძლივი ტრადიციებითა და ნაყოფიერებით გამოირჩევა, ასევე, თანამშრომლობა ჰაიდელბერგის (გერმანია) უნივერსიტეტთან. ამ მრავალწლიანი პარტნიორობის ფარგლებში ხორციელდება სტუდენტური გაცვლითი პროგრამები, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს კი ეძლევა გერმანიის ერთ-ერთ უძველეს უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი მივლინებებით გამგზავრების საშუალება. ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორებიც რეგულარულად სტუმრობენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

2010 წლის ნოემბრიდან, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუერთდა სუბტროპიკული მეურნეობის სოხუმის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტი. შესაბამისად, 2011-2012 სასწავლო წლიდან აბიტურიენტებს უკვე შესაძლებლობა ეძლევათ ჰუმანიტარულ, სოციალურ და ტექნიკურ სფეროებთან ერთად სამომავლო პროფესიად აირჩიონ აგრარული მიმართულებებიც.

უნივერსიტეტი სტუდენტებს სწავლების სამივე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა) სთავაზობს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მრავალმხრივ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა მოდერნიზაცია განუწყვეტლივ მიმდინარეობს, რის შედეგადაც ის თავის კურსდამთავრებულებს კონკურენტუნარიან პროფესიონალებად ჩამოყალიბების საუკეთესო შესაძლებლობას აძლევს.

უნივერსიტეტში 2006 წლიდან ჩამოყალიბებულია იურიდიული კლინიკები, რომლებიც ემსახურება იმერეთის რეგიონის მოსახლეობას და სტუდენტები პრაქტიკოს იურისტებსა და პროფესორებთან ერთად ატარებენ უფასო იურიდიულ კონსულტაციებს.

წარმატებით ფუნქციონირებს „პროფესიული წვრთნის, გადამზადებისა და უწყვეტი ეკონომიკური განათლების“ სასწავლო ცენტრი. ცენტრის პრიორიტეტია კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების სწავლება-გადამზადება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად კომპიუტერული პროგრამა ორისით. აღსანიშნავია, რომ ამ შესაძლებლობით სტუდენტებთან ერთად სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც სარგებლობენ.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და კონტროლის პალატასთან. მათი თანამშრომლები სამართალმცოდნეობისა და ეკონომიკური პროგრამების სტუდენტებისათვის კითხულობენ სალექციო კურსებს, რაც წარჩინებულ სტუდენტებს დასაქმების კარგ პერსპექტივას აძლევს. ამ გზით ათამდე კურსდამთავრებული უკვე მსახურობს კონტროლის პალატაში თბილისსა და ქუთაისში.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებას იწყებს უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრი, რომელიც მსურველებს დაეხმარება ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, სპარსული, თურქული, არაბული, ებრაული, ჩინური, რუსული და ქართული (როგორც უცხო ენა) ენების სრულყოფილად შესწავლაში.

უნივერსიტეტს აქვს მდიდარი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, საკუთარი გამომცემლობა, კომპიუტერებით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზები და ინტერნეტლაბორატორიები. ჩამოყალიბებულია მრავალფეროვანი სპორტული ინფრასტრუქტურა, ფუნქციონირებს ხალხური ცეკვისა და სიმღერის სტუდენტური ანსამბლები.

აირჩიეთ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც თქვენ გელით აქტიური სტუდენტური ცხოვრება, რომელიც ერთნაირად იქნება დატვირთული როგორც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლებისა და უნარ-ჩვევების შეძენის შესაძლებლობით, ასევე, საინტერესო კულტურული და სპორტული მოვლენებით.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი – 009

ფაკულტეტი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა – 00901

1. ფილოლოგია (ქართული ენა და ლიტერატურა; ინგლისური ენა და ლიტერატურა; გერმანული ენა და ლიტერატურა; ფრანგული ენა და ლიტერატურა; რუსული ენა და ლიტერატურა) აღმოსავლეთმცოდნეობა (არაბისტიკა; ირანისტიკა; თურქოლოგია); არქეოლოგია; ისტორია; ფილოსოფია – **0090101**.

ფაკულტეტი: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა – 00902

1. მათემატიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები – **0090201**;
2. ფიზიკა; ბიოლოგია; ეკოლოგია; ქიმია; გეოგრაფია – **0090202**.

ფაკულტეტი: ჯანდაცვის – 00903;

1. სამკურნალო საქმე, სტომატოლოგია, ფარმაცია – **0090301**.

ფაკულტეტი: საზოგადოებრივ მეცნიერებათა – 00904

1. სამართალმცოდნეობა – **0090401;**
2. ჟურნალისტიკა – **0090402;**
3. ბიზნესის ადმინისტრირება (მოდულები: საფინანსო საბანკო და სადაზღვევო საქმე; მენეჯმენტი; საბუღალტრო საგადასახადო საქმე; მარკეტინგი; აგრობიზნესის მენეჯმენტი) – **0090403;**
4. ტურიზმი (აგროტურიზმი, ეკოტურიზმი) – **0090404**.

ფაკულტეტი: პედაგოგიური – 00905

1. დაწყებითი განათლება – **0090501**;

ფაკულტეტი: საინჟინრო-ტექნიკური – 00906

1. ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა (მოდულები: ავტომობილების ექსპლუატაცია; სატრანსპორტო ენერგეტიკული დანადგარების ექსპლუატაცია და ეკოლოგია); გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა; მანქანათმშენებლობა (მოდულები: მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია; ჩარხები და იარაღები; კვების და მსუბუქი მრეწველობის მანქანები და აპარატები; სამაცივრო ტექნიკა და კონდენციონერები); მეტალურგია; ელექტრული ინჟინერია (მოდულები: ელექტროენერგეტიკა; ბიოსამედიცინო ელექტრონიკა; კრიმინალისტიკური ელექტრონული ტექნიკა; ენერგეტიკის ეკონომიკა; ტელეკომუნიკაცია); მშენებლობა (მოდულები: სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; გზების მშენებლობა; ნავთობ და გაზსადენების მშენებლობა; მშენებლობის ეკონომიკა; ჰიდროტექნიკური მშენებლობა); ხარისხის მართვა და საზომი ტექნიკა – **0090601**.

ფაკულტეტი: საინჟინრო-ტექნოლოგიური – 00907

1. ქიმიურ-ფარმაცევტული და კოსმეტიკური პრეპარატების ტექნოლოგია; გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება; სასურსათო პროდუქტების ტექნოლოგია (მოდულები: კვების პროდუქტების ტექნოლოგია; სასურსათო საქონელმცოდნეობა და ექსპერტიზა; სასურსათო მრეწველობის ეკონომიკა); მერქნული მასალების ტექნოლოგია; მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა ტექნოლოგია (მოდულები: სამკერვალო და ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგია; მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა საქონელმცოდნეობა და ექსპერტიზა; მსუბუქი მრეწველობის ეკონომიკა; ტექსტილის ტექნოლოგია; ტექსტილის და ქიმიური მასალების საქონელმცოდნეობა და ექსპერტიზა; ტექსტილის მრეწველობის ეკონომიკა) – **0090701**;
2. გამოყენებითი დიზაინი (მოდულები: კოსტუმის დიზაინი; ტექსტილის დიზაინი) – **0090702**.

ფაკულტეტი: საზღვაო-სატრანსპორტო (ქ. ფოთი) – 00908

საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი – **0090801**.

ფაკულტეტი: აგრარული – 00909

1. აგროტექნოლოგია; აგროეკოლოგია; საბაღო-საპარკო მეურნეობა; სოფლის მეურნეობის მექანიზაცია; სუბტროპიკულ კულტურათა ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგია – **0090901**.

სასწავლებლის საფოსტო მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის №59
ტელეფონი: (8321) 42173, ფაქსი: (8231) 43833
ელექტრონული ფოსტა: atsu@atsu.edu.ge ვებგვერდი: www.atsu.edu.ge

ფიქრები განათლებაზე

განათლების პარადიგმა: ტრანსფორმაციის დრო

გია მურღულია
ფილოლოგიის დოქტორი,
თბილისის №24 საჯარო
სკოლის დირექტორი

ადამიანს სულ უფრო ნაკლები დრო რჩება საიმისოდ, რომ იყოს ადამიანი. კონკურენცია და მიზანშეწონილობა ანვითარებს, მაგრამ აუხეშებს კიდეც, მე-სპეციალისტი თრგუნავს მე-ადამიანს. ჩემი ერთი „მე“ ხელყოფს მეორეს.

გლობალური განადგურების შიში თითქოს ნაკლებად მძაფრი გახდა, მაგრამ ადამიანს საბედისწეროდ ეუფლება ყოფნასთან დაკავშირებული შიში: გასწევს კი ის კონკურენციას? შეძლებს ჰქონდეს სტაბილური სამსახური, სტაბილური შემოსავალი, შეინარჩუნოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა, არ იყოს გაურკვეველი მომავლის მუდმივ ტყვეობაში.

ეს პრობლემები რომ წარმატებით გადაჭრას, ადამიანი მოვალეა გლობალური, ყოვლისგამჭოლი წარმოების ინტერესთა სფეროში თავისი ადგილი მოძებნოს და დაიკავოს, ამასთან, მუდმივად იღვაწოს და იზრუნოს მისი შენარჩუნებისათვისაც. ამ სტაიერულ დისტანციაზე სუსტი სპორტსმენები უპირობოდ და გარდაუვლად მარცხდებიან. ტექნოლოგიურმა საზოგადოებამ ტექნოლოგიური მიზანშეწონილობის მორალი დაამკვიდრა, პროგრესი თვითმიზნად და თვითმკმარ ღირებულებად აქცია.

ამ ვითარებაში ნათლად გამოიკვეთა განათლების სისტემის ძირითადი მიზანდასახულობა და ამოცანა. საზოგადოებისა და პიროვნების დაკვეთა ამ სისტემის მიმართ ასე ჩამოყალიბდა: ადამიანის სოციალიზაციისა და პიროვნული განვითარების პრობლემა გადაწყვეტილად ითვლება, თუ მას შეუძლია ადეკვატურად ჩაერთოს წარმოების პროცესში. ცხადია, ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობენ ინდივიდისა თუ საზოგადოების ჰუმანურ განვითარებაზეც, მაგრამ უბრალოდ „კარგი ადამიანი“ დღეს თითქოს ნაკლებად ღირებულია – ყველა სტრატეგიული საგანმანათლებლო გადაწყვეტილება ღიად და უშუალოდ უკავშირდება ეკონომიკურ პროგრესს.

ადამიანი ქმნის ეკონომიკას, ახალ ტექნოლოგიებს. ის, რასაც ადამიანი ქმნის, მნიშვნელობით აჭარბებს თავად ადამიანს; შექმნილი აღემატება შემოქმედს, საშუალება – მიზანს, უსულო – სულიერს.

დღეს უკვე ბევრი სვამს კითხვას ასე: ჩვენ ვცხოვრობთ ეკონომიკისათვის თუ ეკონომიკა არსებობს ჩვენთვის? აქედან ერთი ნაბიჯია მომდევნო კითხვამდე: პროგრესი იქმნება ადამიანისათვის თუ ადამიანი „ექვემდებარება“ პროგრესს?

სამწუხაროდ, დღეს ეს აღარ აღიქმება რიტორიკულ კითხვებად. საზოგადოების ტექნოლოგიური განვითარება ლამის პირდაპირ გულისხმობს ჰუმანური პრიმატის „გადასინჯვას“. წარმატება და ღირსება დღევანდელ ვითარებაში თითქმის იდენტურ ცნებებად იქცა და ორივე კი სახიფათოდ დაშორდა ბუნებრივ ადამიანურ საწყისს.

საზოგადოების განვითარების ამგვარი ტენდენციის შესახებ ერთადერთი რამ შეიძლება ითქვას – ეს არის კრიზისი, ეს არის გზა ჩიხისაკენ, ეს არის საკუთარი თავის დაკარგვის შეუქცევადი პროცესი.

მაგრამ რა შეიძლება დაუპირისპირდეს ამ პროცესს?

კაცობრიობამ უნდა მიაღწიოს ერთ უმნიშვნელოვანეს პედაგოგიურ კონსენსუსს, რაც ასე შეიძლება აისახოს:

მსოფლიო პროგრესი არ არის მხოლოდ ახლის შექმნა, პრობლემების ახლებური გადაწყვეტა; პირობითად თუ ვიტყვით, – მხოლოდ „მატება“, „დაძლევა“, ან „გადალახვა“. პროგრესი „შენახვაცაა“, რაღაც „მუდმივას“ არსებობა-შენარჩუნებაცაა. ამ „მუდმივას“ გარეშე არ იარსებებდა თავად კულტურაც, რაც არ შეიძლება მხოლოდ მედინი, მუდმივად „გადაადგილებადი“ იყოს და მდგრადობა არ ახასიათებდეს, თუკი კაცობრიობა იყო და ოდესმე შეიძლება იყოს ერთიანი, ეს მხოლოდ საერთო კულტურული ღირებულებებისა და, ამაზე დაყრდნობით, კულტურათა დიალოგის საფუძველზე შეიძლება ხორციელდებოდეს.

სამყარო, კაცობრიობა არ შეიძლება იყოს მთლიანი, თუ ადამიანი არ იქნა მთლიანი. არ შეიძლება ადამიანის „დანაწევრება“, რა მიზანდასახულობასაც უნდა ემყარებოდეს ამგვარი მცდელობა. პიროვნებას არ შეიძლება აკმაყოფილებდეს ის, რომ იყოს საკუთარი თავის ნაწილი, მწარმოებლური ადამიანური საწყისი არ უნდა გაემიჯნოს და, მით უმეტეს, დაუპირისპირდეს კულტურულ, ზნეობრივ ადამიანურ საწყისს. ვგულისხმობ, რომ კულტურა თავისი არსით ყოველთვის ზნეობრივია.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე განათლების სისტემის უპირველეს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ამოცანად რჩება შემოქმედებისა და სიკეთის ბალანსი სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. ადამიანი უნდა ქმნიდეს, დინამიური იყოს, მუდმავად სრულყოფდეს შრომისა და მისი ორგანიზების კულტურას, შეეძლოს ადაპტირება თანამედროვე, სწრაფად ცვალებად სამყაროში, მაგრამ ამავე დროს, ის უნდა იყოს კეთილი, შემწყნარებელი, თანაგრძნობის უნარის მქონე და მუდამ ახსოვდეს, რომ ცხოვრება არ არის მხოლოდ „მე“, ის არის ამ „მეს“ ურთიერთობებიც სხვებთან (განა შემთხვევითია ის, რომ ყველა მსოფლიო რელიგია ლამის სიტყვა-სიტყვით ასწავლის: „არასდროს გაუკეთო სხვას ის, რაც არ გსურს თავად გაგიკეთონ!?“).

ხსენებული ამოცანის გადაწყვეტისას განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს განსხვავებული სასტარტო პირობები აქვთ მრავალი პარამეტრით, მაგრამ ამოცანის არსი და მნიშვნელობა ამით არ იცვლება.

მე მსურს შევეხო პრობლემის რამდენიმე არსებით მომენტს, რომლებიც, ბუნებრივია, ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება.

პოსტმატერიალისტური ღირებულებები

დღეს დასავლეთის განვითარებულ სახელმწიფოებში საზოგადოებრივი პროცესის განსაზღვრისას გადამწყვეტ ფაქტორად მოიხსენიებენ არა, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური მაჩვენებლების გარკვეულ ჯამს, არამედ იმასაც, თუ რა პირობები აქვს შექმნილი ადამიანს ინტელექტუალური, ზნეობრივი თვისებების, აგრეთვე შემოქმედებითი ნიჭისა და უნარების, რაც შეიძლება სრულად გამოსამჟღავნებლად ანუ თვითრეალიზაციისათვის. ცხოვრების წესი და დონე განისაზღვრება არა მხოლოდ მაღალი ეკონომიკური სტანდარტებით, არამედ ასევე მაღალი სოციალური მოთხოვნებითაც. გაჩნდა ცნება „პოსტმატერიალისტური ღირებულებები“. ახალგაზრდობის ფართო ფენებისათვის სრულფასოვანი განათლების მიღება სასურველი სოციალური სტატუსის მიღწევის აუცილებელ წინაპირობად აღიქმება, როგორც პროფესიულ, ისე საზოგადოებრივ კონტექსტში.

პოსტსაბჭოურ სივრცეში, და, ცხადია, საქართველოშიც, მძაფრი ეკონომიკური პრობლემების ფონზე, ძნელია „პოსტმატერიალისტურ ღირებულებებზე“ მსჯელობაც კი, ჩვენთვის ამჯერად უფრო უპრიანია „არამატერიალისტურ ღირებულებებზე“ ვილაპარაკოთ, რადგან დღეს აქ აქტუალურია თუნდაც მინიმალური ეკონომიკური მოთხოვნების დაკმაყოფილება, მაგრამ რა მხრივაც უნდა შევხედოთ საკითხს, ბალანსი სულიერსა და მატერიალურს შორის გარდაუვლად საძიებელია.

არ არის აუცილებელი, მხოლოდ მაშინ დაფიქრდეთ სულიერ ცხოვრებაზე, როდესაც მატერიალურად უზრუნველყოფილი ხართ. ასეთი „ჯერ“ და „მერე“ არ უნდა გაიგივდეს არც ევროპულ რაციონალიზმთან და არც უბრალოდ საღ აზრთან. მატერიალურის ძიებაში დაკარგული სულიერების ხელახლა აღმოჩენის სიხარული დიდი ვერაფერი წამალია იმ თანამედროვე ავადმყოფობისა, რომელსაც შეიძლება „კულტურული სკლეროზი“ ვუწოდოთ.

პედაგოგიკური ესპერანტო?

არსებობს თუ არა „პედაგოგიური „ესპერანტო“ ანუ სწავლებისა და აღზრდის ყველა დროისა და ხალხისათვის უნივერსალური სისტემა? ამ კითხვას როგორც ძველი ასე თანამედროვე თეორეტიკოსები, უმრავლეს შემთხვევაში (თუ ყოველთვის არა), უარყოფითად უპასუხებენ, თუკი ამგვარი სისტემა მოაზრებული იქნება ყოველგვარი ეროვნულის სპეციფიკისაგან დაცლილ მოდელად. ყველა ხალხს აქვს სამყაროს თავისებური, განუმეორებელი ხედვა (რაც, უწინარეს ყოვლისა, მშობლიური ენით და შემდგომ ცხოვრების წესით გამოიხატება), ტრადიციები, ადამიანურის იდეალი. ყოველივე ეს, ბუნებრივია, აისახება განათლების სისტემაში, რაც მართებულიცაა, ვერავინ იტყვის, რომ გერმანულმა სკოლამ არ უნდა აღზარდოს გერმანელი, ამერიკულმა – ამერიკელი. ქართულმა – ქართველი, მაგრამ თუ არა უნივერსალური მიდგომებიც, რას უპასუხებდა ყველა ეს სკოლა ამ ტრივიალურ ჭეშმარიტებას, რომ ჩვენ საზოგადოდ ადამიანები ვართ, რომელნიც ერთ საზიარო სამყაროში ვცხოვრობთ?

ყოველი ადამიანი სამსახოვანია: ის არის განუმეორებელი ინდივიდიც, ამა თუ იმ ერის შვილიც და კაცობრიობის წარმომადგენელიც. სკოლა „სამივეს“ უნდა ზრდიდეს, თუმცა, ცხადია, ეს სამივე განუყოფელი მთლიანობაა, რომელსაც თავისი სახელიც აქვს, წარმომავლობაც, ისტორიაც, აზროვნებაცა და ნებაც.

ზოგჯერ დგება დრო, როდესაც ცალკეულ სიტყვებს მხოლოდ უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებენ, ასე ვთქვათ, ერთჯერადი მნიშვნელობის შინაპატიმრობაში აჰყავთ. ასეთ სიტყვად იქცა პოსტსაბჭოთა სივრცეში „ინტეგრაცია“. იმპერიულ მიზანდასახულობათა კვალდაკვალ ეს სიტყვა გაუიგივდა „ასიმილაციას“, ძალდატანებით „ერთიანობას“, რაშიც ნათლად გამოსჭვიოდა გასაბატონებელი ღირებულების პრევალირება ბევრ სხვაზე. ამიტომ დღეს ერებიცა და ადამიანებიც ფრთხილობენ – კვლავ რაიმე მსგავს მოვლენასთან ხომ არ გვაქვსო საქმე?

მაგრამ მსოფლიოში სხვა ტიპის ინტეგრაციაც არსებობს – ეს არის საერთო ღირებულებებსა და მიზანდასახულობებზე აღმოცენებული და დაფუძნებული ნებაყოფლობითი ერთობის სურვილი. საბჭოური ერთიანობა კი მხოლოდ აძლიერებს მის შემქმნელ და შემადგენელ ნაწილებს.

შეთანხმებულ ღირებულებებსა და მიზნებს დაფუძნებული ერთიანობის მაგალითად შეიძლება იქცეს საერთო ევროპული სახლი. დღეს უკვე საუბრობენ საერთო ევროპული სივრცის მოქალაქის აღზრდაზე, უფრო მეტიც – მსოფლიო მოქალაქის აღზრდაზეც. თავის დროზე ეს ლამის აკრძალული თემა იყო, კოსმოპოლიტიზმი საგინებელ სიტყვად ითვლებოდა და პირდაპირ გულისხმობდა ყოველგვარი ეროვნული გრძნობებისაგან დაცლასა და ნაციონალურის უარყოფას. საბჭოთა სივრცეში ეროვნული გრძნობა უკიდურესობამდე გამძაფრებული იყო, რადგან თავად ერებსა და ეროვნულ სახელმწიფოებს ასიმილირების წინააღმდეგ მუდმივი ბრძოლა უხდებოდათ. ადამიანთა ცნობიერებაში აქცენტირებული იყო ეროვნული და არა უნივერსალური. ამის ძლიერი გამოვლინებები დღესაც თვალსაჩინოა. ვინმემ, ვთქვათ, საქართველოში, პედაგოგიურ ამოცანად მსოფლიო მოქალაქის აღზრდაც რომ დაასახელოს (თუმცა განათლების კანონში წერია, რომ ჩვენი შვილები მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის თანაზიარად და დამფასებლად უნდა აღიზარდონ) შესაძლოა, „საგანმანათლებლო ანათემას“ გადასცენ – ერს და ეროვნულ ღირებულებებს, ჩვენს თავისუფლებასა და თავისთავადობას უარყოფსო. უტრირება პედაგოგიური სფეროს თანამდევი სენიცაა: ეს სენი მეტისმეტად საშიში ხდება, როდესაც განათლების თეორეტიკოსები სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში გლობალურისა და ნაციონალურის ურთიერთმიმართებაზე იწყებენ მსჯელობას. ვიწრო ეროვნული მიდგომები, რის მაგალითებსაც ხშირად ვხვდებით პოსტსაბჭოურ სივრცეში, კერძოდ საქართველოშიც, უნდა დაიძლიოს (ცხადია, არა მისი „კანონიერი მოცულობის“ უარყოფის ხარჯზე). ამას ხელი უნდა შეუწყოს 90-იან წლებში იუნესკოს მიერ წარმოდგენილმა სამოქალაქო აღზრდის საერთაშორისო პროექტმა დედამიწაზე მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, რაც სამ ძირითად მიმართულებას გულისხმობს.

1. ახალგაზრდობის აღზრდას მშვიდობისა და არაძალადობის სულისკვეთებით (ბევრი ქვეყნის სასკოლო პრაქტიკაში უკვე ჩამოყალიბდა განსაკუთრებული მიმართულება – მშვიდობის პედაგოგიკა);

2. ახალგაზრდობის მომზადება პოლიკულტურულ და მრავალეროვან გარემოში ცხოვრებისათვის;

3. ეკოლოგიური განათლება.

ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „პედაგოგიური ესპერანტო“ არსებობს, მაგრამ მასში დაცულია უნივერსალურისა და სპეციფიკურის ბალანსი.

განუმეორებლობა და კონტექსტი დროის მთლიანობის პრიმატით

არსებობს სამყაროს აღქმის და მოაზრების ბიბლიური მოდელი, რასაც ებრაულად „ოლამი“ ეწოდება. „ოლამი“ დინამიური სამყაროა, ღვთისგან დადგენილი მიზნისკენ წარმართული. ის დრო – სივრცეა, უსასრულო ნაკადია, რაც თავის თავში იტევს ყველაფერს არსებულს. მისი ყოველი ელემენტი „ოლამის“ გამორჩეული ნაწილია, რომელიც ოლამურ მთლიანობასაც სრულად გამოხატავს. ყოველ ნაწილს ერთი საერთო და უნივერსალური მიზანი ამთლიანებს. ამ თვალსაზრისით, ნებისმიერი ადამიანი საკუთარ თავში მოიცავს ყველა სხვა ადამიანს, ვინც იყო, ვინც არის და ვინც იქნება. ყოველი პიროვნება საკუთარ არსებაში ასევე სრულად მოიცავს ადამიანურ ისტორიას – ადამიანში დრო მთლიანდება. მრავალი საუკუნეა ცნობილია, რომ კაცობრიობის უბედურებათა მრავალი ასპექტი დროის გახლეჩით, დანაწევრებით არის გაპირობებული. მთლიან დროზე ძალდატანება და მისი ნაწილებით ხელოვნური მანიპულირება ადამიანის უმთავრეს შეცდომათაგანია. ამიტომაც თანამედროვე პედაგოგიკის არსებითი ამოცანაა მოწაფეს დაანახვოს და გააცნობიერებინოს დროის მთლიანობა, განუყოფლობა, ერთიანობა. ეს არის კაცობრიული ერთიანობის საფუძველი.

ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი წერდა:

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:

ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“.

ადამიანის თვიშემეცნება, რაც აღზრდის ქვაკუთხედია, გულისხმობს ზემოხსენებული სამსახოვნობის (მე – ინდივიდი, მე – ერის შვილი, მე – კაცობრიობის წარმომადგენელი) გაცნობიერებას დაუნაწევრებელ, არსობრივად მთლიან დროში – ვინ ვარ მე, როგორც პიროვნება, სად არის ჩემი პიროვნული ფესვები, სად ვიმყოფები ამჟამად ჩემი ჩამოყალიბებისა და ცხოვრების გზაზე და საით მივყავარ ჩემი არსებობის ლოგიკას; ვინ ვარ, როგორი საკუთარი ერის შვილი, როგორია ჩემი ქვეყნის ისტორია, განვითარების რა სტადიაზე იმყოფება ჩემი ქვეყანა და როგორია მისი სამომავლო მიზანდასახულობა და პერსპექტივა; და ბოლოს – ვინ ვარ მე, როგორც მთლიანი სამყაროს შვილი, კაცობრიობის წევრი, როგორია გლობალური განვითარების ისტორია, ლოგიკა და კონტექსტი.

ჩემშია წარსულიც, აწმყოცა და მომავალიც; ეს არის უდიდესი ღირსებაც ადამიანისა (რომელიც, როგორც სამყაროს ნაწილი, ატარებს გლობალურ მნიშვნელობასაც), და არანაკლებ დიდი პასუხისმგებლობაც.

ზემოთქმულს ერთი არსებითი ნიუანსიც აქვს:

ადამიანები და ქვეყნები ზოგჯერ უკიდურესობებში (მათ შორის, პედაგოგიურ უკიდურესობებშიც) ვარდებიან. ჩვენ ვცხოვრობდით ტოტალიტარულ სახელმწიფოში, სადაც სავალდებულოდ აქცენტირებული იყო პასუხისმგებლობა ამ სახელმწიფოს წინაშე და, ფაქტობრივად, უფლებების იგნორირება ხდებოდა. ახლა ყოველ ფეხის ნაბიჯზე აქტუალიზებულია ადამიანის უფლებები (მადლობა ღმერთს), მაგრამ ნაკლებად ახსენებენ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას.

ფიქრები განათლებაზე

უფლებების გააბსოლუტებიდან ეგოცენტრიზამდე ერთი ნაბიჯია მხოლოდ და მისი გადადგმა არავის უჭირს. ჩვენი ახალი პედაგოგიური ამოცანაა უფლებებისა და მოვალეობა-პასუხისმგებლობათა ჰარმონიზება სასწავლო აღმზრდელობით პროცესში.

ჯგუფურობა თუ ინდივიდუალიზმი?

ცნობილია, რომ იაპონიამ თავისი თემურ-ჯგუფური ცხოვრების სტილით შესამჩნევად შეავიწროვა აშშ და დასავლეთ ევროპის ქვეყნები საკონკურენციო ბრძოლაში. ზღვრული ინდივიდუალიზაცია, როგორც ცხოვრების გააზრების დასავლური წესი, ეჭვქვეშ დადგა, რაც პედაგოგიურ ცნობიერებაზეც აისახა. 60-70-იან წლებში ამერიკულ და დასავლეთევროპულ პედაგოგიკაში სწავლების მაქსიმალური ინდივიდუალიზაციის ლოზუნგი მძლავრობდა, რაც 80-იან წლებში შეცვალა მოწაფეთა მცირე ჯგუფებში „კოოპერატიული“ სწავლების ლოზუნგმა. ამერიკელი პედაგოგები დ. ხაზარდი და რ. კაგანი ამგვარი მიდგომის უპირატესობას ასე ასაბუთებენ: „კოოპერატიული სწავლება ამაღლებს აკადემიურ მოსწრებას, რადგან მოწაფეები კონკურენციას კი არ უწევენ ერთმანეთს, არამედ ეხმარებიან და ხელს უწყობენ, ისინი ერთმანეთს ასწავლიან, რაც კარგია როგორც ძლიერი, ასე სუსტი ბავშვებისათვის; კოოპერატიული სწავლება საკონკურენციო სწავლების ალტერნატივაა, რაკიღა ასეთ ჯგუფებში სუსტი მოწაფეც კი საკუთარ თავში დარწმუნებულია და სწავლისას კმაყოფილებას გრძნობს“.

აქ მხოლოდ სწავლების ეფექტურობაში არ არის საქმე, შესაძლოა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყოს ცხოვრების წესის, სხვა ადამიანებთან ჰარმონიული ურთიერთობის წესის ჩამოყალიბება, როდესაც ამგვარი კონტაქტი არა მხოლოდ „ზნეობრივად სასიამოვნო“, არამედ სასარგებლოც ხდება. საბჭოთა სკოლაში კულტივირებული იყო კოლექტიურობის პრინციპი და ის თითქმის არ სცნობდა პიროვნების ინტერესებს. კოლექტივი მოიაზრებოდა არა როგორც პიროვნებების ერთობა, არამედ როგორც სახელმწიფოებრივი ინტერესის პრიმატით გაერთიანებული „ზეპიროვნული“ მასა. ეს არის ისეთი „ყველა“, რომელიც არავის კონკრეტულად არ სცნობს, ყოველთვის „ხალხის“ სახელით ლაპარაკობს და მოქმედებს. იაპონური სისტემა იყენებს საბჭოური მოდელის პლუსებს, რაც ასევე უდავო ფაქტია (მაგალითად, სრულიად ნათელია, რომ საბჭოთა სკოლამ და აღზრდის სისტემამ ახალ სიმაღლეზე აიყვანა საზოგადოებრივი ინტერესის განცდა), მაგრამ ერთმანეთს უხამებს სახელმწიფო და პიროვნულ ღირებულებებს, ქმნის ისეთ საცხოვრებელ სივრცეს (აქედან გამომდინარე – საგანმანათლებლო სივრცესაც), რომელშიც შესაძლებელი ხდება საზოგადოსა და ინდივიდუალურის მორიგება.

ამ პრობლემის გადაწყვეტა ნებისმიერი ერისა და სახელმწიფოს კულტურული ამოცანაა. პოსტსაბჭოურ სივრცეში ეს ამოცანა პედაგოგიურად ჯერ კიდევ დასამუშავებელი და გადასაწყვეტია.

ვასწავლოთ ფილოსოფია

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით აქტუალური გახდა თეზისი ემოციური აღზრდის მნიშვნელობის შესახებ.ამტკიცებენ, რომ მაქსიმალური ყურადღება ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე არ უზრუნველყოფს არც მის უკეთესობას და არც ბედნიერებას, პირიქით ზოგჯერ აღარიბებს კიდეც პიროვნებას, მაშინ როდესაც ემოციის განვითარება ხელს უწყობს ჰუმანური იმპულსების წარმოშობას და ადამიანს ეხმარება ეთიკურად მართებული გადაწყვეტილებების მიღებაში ცხოვრების რთულ გზაზე. კერძოდ, ამგვარ თვალსაზრისს ავითარებს ცნობილი ამერიკელი კულტუროლოგი ტ. როზაკი. ამ კონტექსტში საგანგებოდ მნიშვნელოვანი გახდა ჰუმანიტარული აღზრდის ხელახალი გააზრება, რასაც მსოფლიო პედაგოგიკა დღეს დიდ ყურადღებას უთმობს. ენების, ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიის სწავლებაში თვისებრივი ცვლილებები ხდება, მაგრამ ამჯერად განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ ფილოსოფიის სწავლებაზე. არ დარჩენილა არც ერთი დიდი მოაზროვნე პედაგოგიკის ისტორიაში, რომელსაც არ ეთქვას ფილოსოფიის სასკოლო კურსის შემოღების აუცილებლობის შესახებ (ამასვე აღიარებდა მრავალი ფილოსოფოსიც). დღეს ევროპის საშუალო სკოლების მაღალ კლასებში შეინიშნება ფილოსოფიის სწავლების ტენდენცია, რაც საგულისხმო მოვლენაა. შესაბამისი კურსების უმთავრეს ამოცანად მიჩნეულია მთელი სასკოლო განათლების დაგვირგვინება, სხვა დისციპლინების შესწავლისას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების მოწაფის ცნობიერებაში სინთეზირება. მაგრამ, როგორც აღნიშნავენ, უკანასკნელ დრომდე ფილოსოფიის სასკოლო კურსებში სქოლასტიკური მიდგომები მძლავრობდა, რაც მოწყვეტილი იყო რეალური ცხოვრების კონკრეტულ მოვლენებს, ადამიანის, საზოგადოების, ბუნების გააზრების თანამედროვე აქტუალურ კონტექსტს. დღეს ასეთი უტრირებული მიდგომების შეცვლის მდგრადი ტენდენცია თვალშისაცემია.

ფილოსოფიის სწავლება სასკოლო განათლების პრაქტიკაში **საზრისის** შემოტანის ყველაზე სერიოზულ მცდელობად უნდა ჩაითვალოს. სკოლა, თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობების ფარგლებში, პასუხს უნდა სცემდეს არა მხოლოდ კითხვას „რა“? ან „როგორ“, არამედ კითხვასაც „რისთვის“? ტრანსფორმაციის გზაზე დამდგარი პოსტსაბჭოური განათლების სისტემის უპირველეს ამოცანათაგანია საზრისის დამკვიდრება სასკოლო განათლებაში, ამდენად ფილოსოფიის სწავლების კონცეფციისა და ალგორითმის განსაღზვრა.

ზემოთქმული მოკლედ ასე შეიძლება შევაჯამოთ:

განათლების თანამედროვე პარადიგმა, შესაბამისი ტრანსფორმირების შემდეგ, უნდა უზრუნველყოფდეს კულტურული და მწარმოებლური საწყისების ჰარმონიულ პედაგოგიურ სინთეზს, რაც კაცობრიობის პროგრესს „ცუდ უსასრულობად“ (ჰეგელი) კი არ აქცევს, არამედ ადამიანური საზრისის მქონე მიზნობრივ განვითარებად, ცალკეული პიროვნების, ყოველი ერისა და მთლინად მსოფლიოს საკეთილდღეოდ.

სპორტი

კონკრეტული შედეგების საწინდარი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 24-ივე საჯარო სკოლაში სპორტი, როგორც ახალი საგანი, მიმდინარე სასწავლო წლიდან ისწავლება. სკოლების უმრავლესობამ უპირატესობა სამ სახეობას – ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი – მიანიჭა. თუმცა, საერთო ჯამში, არჩევანი, სკოლების მიხედვით, საკმაოდ მრავალფეროვანია. მაგალითად, მამათის საჯარო სკოლაში სპორტის სამ სავალდებულო სახეობათა შორის მოხვდა: ბადმინტონი, ჭადრაკი, ფრენბურთი; ნინოშვილში – მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, ფეხბურთი; ახალსოფელში – ჭიდაობა, მაგიდის ჩოგბურთი, ნიგვზიანში – რაგბი.

სკოლებში სპორტის სასწავლო საგნად სწავლების გადაწყვეტილებას ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლაში სწორ ნაბიჯად მიიჩნევენ. სკოლის დირექტორი ბატონი **თამაზ კილაძე** ამბობს, რომ სიახლით, პირველ რიგში, პედაგოგები აღფრთოვანდნენ, რადგან მუშაობა სპორტის გარკვეულ სახეობებზე უხდებათ და არა ყველაფერზე, შესაბამისად, შედეგიც კონკრეტულია, რომლის გაუმჯობესება ყოველთვის შეიძლება.

გაკვეთილები რომ სათანადო დონეზე ჩატარდეს სკოლაში ამის პირობები რამდენიმე წელია, არის – სტანდარტული სპორტული დარბაზი, გათბობა, სათანადო აღჭურვილობა, რასაც დაერთო პედაგოგის მოტივაცია და ინტერესი, აჩვენოს საკუთარი პროფესიონალიზმი.

„სკოლაში გამოვაკარით ასარჩევი სახეობების ჩამონათვალი. მოსწავლეების მივეცით საშუალება სურვილისამებრ ჩაწერილიყვნენ ამა თუ იმ სექციაში. ვაჟების უმრავლესობამ ფეხბურთი აირჩია, რაც არავის გაკვირვებია, რადგან ლანჩხუთი და ფეხბურთი განუყოფელია. ბევრი აღმოჩნდა კალათბურთის და ფრენბურთის მოყვარულიც. ასე რომ, ახალი სასწავლო წლიდან ეს სამი სექცია მუშაობს, ოღონდ არა ისე, ფორმალურად, როგორც ადრე იყო ფიზკულტურის გაკვეთილების დროს, არამედ დიდი მონდომებით და ინტერესით“ – ამბობს დირექტორი.

სკოლაში სპორტის გაკვეთილები, შეიძლება ითქვას, განრიგის მიხედვით ტარდება. V-VI კლასები ადრე ამთავრებენ სწავლას და პირველები ისინი შედიან სპორტდარბაზში, პირველის ნახევარზე. რაკი სექციები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დაკომპლექტდა, ამას მოჰყვება VII-IX კლასები, შემდეგ X-XI-XII. მაღალკლასელები, სპორტის გაკვეთილის დაწყებამდე, სახლში წასვლას და უკან დაბრუნებასაც ასწრებენ. ასე რომ, პირველის ნახევრიდან 5-მდე სკოლის სპორტდარბაზში სპორტის გაკვეთილები ტარდება ფეხბურთში, კალათბურთში და ფრენბურთში.

თემურ გობრონიძე, სპორტის მასწავლებელი: *13 წელია სკოლაში ვასწავლი და სპორტის მიმართ ასეთი ინტერესი არასოდეს ყოფილა. ეს, პირველ რიგში, იმან განაპირობა, რომ ბავშვი საკუთარი სურვილით არჩეულ სახეობაში ვარჯიშობს და საშუალება აქვს სწორედ ამ კონკრეტულ სპორტში გამოავლინოს საკუთარი თავი. ეს კი გამორიცხავს იმ ერთფეროვნებას, რაც თან ახლდა ფიზკულტურის გაკვეთილებს – არ იცის რას შესთავაზებს მასწავლებელი მომავალ გაკვეთილზე.*

სწორი გამოდგა გადაწყვეტილება სპორტის გაკვეთილზე ვაჟებისა და გოგონების გაყოფის შესახებ. ისინი, ძირითადად, ფრენბურთსა და კალათბურთში გადანაწილდნენ, ძალიან ცდილობენ, ისეთივე წარმატებებს მიაღწიონ, რაც ვაჟებს აქვთ ფეხბურთში. იმედი მაქვს ასეც იქნება, მართალია ჯერჯერობით დიდი მიღწევები არ გვაქვს, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი წელია. მომავალში უკეთესი შედეგები გვექნება.

რაც შეეხება ფეხბურთს, აქ შედეგები უკვე არის. გარდა იმისა, რომ, შედარებით თანაბარი ასაკის, რამდენიმე გუნდი ჰყავთ, ჩამოყალიბდა სასკოლო ნაკრებიც, რომლის კაპიტანია **ნიკა მარუაშვილი** („გურიის“ სათადარიკო გუნდის წევრი). შიდა სასკოლო ტურნირმა განსაკუთრებით ნიჭიერებიც გამოკვეთა და, შედარებით სუსტი ადგილებიც. პედაგოგები – **თემურ გობრონიძე** და **კახა ურუშაძ**ე რაიონის სკოლებს შორის ერთკვირიანი ჩემპიონატისთვის ამზადებენ გუნდს. ბატონი თამაზი ვარაუდობს, რომ ეს შეჯიბრი, დაახლოებით, აპრილის შუა რიცხვებისთვის დაიგეგმება და რაიონში დიდი რეზონანსიც ექნება, რადგან „ლანჩხუთში, სადაც ფეხბურთის ბურთი გორავს, ხალხიც იქ მიდის“. კიდევ მეტი ინტერესისთვის კი საპრიზო ფონდის გამოყოფასაც გეგმავენ და დარწმუნებულები არიან, რომ ყველაზე ძლიერი გუნდი სწორედ მათ, პირველ საჯარო სკოლას ჰყავს. იმასაც ვარაუდობენ, რომ გუნდის ზოგიერთი წევრი ისეთ ნიჭსა და ინტერესს იჩენს ფეხბურთისადმი, ადვილი შესაძლებელია პროფესიადაც აირჩიოს სპორტის ეს სახეობა. თუმცა, მანამდე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების თვალსაზრისით, რაც აუცილებელი პირობაა საუკეთესო შედეგების მისაღწევად, კიდევ ერთი რესურსი, სკოლის სპორტული მოედანია წესრიგში მოსაყვანი. ეზო დიდია, წლების წინ აქ იყო კიდეც მოედანი, მაგრამ ახლა მოწესრიგების გარეშე მისი გამოყენება შეუძლებელია. *„სკოლიდან, დაახლოებით, 100 მეტრში არის კეთილმოწყობილი ხელოვნურსაფარიანი მოედანი, მაგრამ ეს მაინც მოშორებითაა და რაკი ბავშვებს გზის გადაკვეთა უწევთ, უსაფრთხოც არაა. ამიტომ გვინდა სკოლის მოედნის აღდგენა, ადგილობრივი ხელისუფლება საქმის კურსშია, დონორ ორგანიზაციასაც მივმართეთ, არა მგონია, უარი გვითხრან, პროექტიც მზად გვაქვს. თუ ეს საქმე დროულად მოგვარდა, ყველა დაინახავს რა შედეგები გვექნება“* – ამბობს თამაზ კილაძე.

შედეგების იმედი სპორტის პედაგოგებსაც აქვთ და პირველ რიგში იმიტომ, რომ სპორტის გაკვეთილების სექციურ დონეზე ჩატარებამ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მოსწავლეებში – ბავშვები აკეთებენ იმას, რაც მოსწონთ. ეს კი დიდი სტიმულია უკეთესი შედეგის მისაღწევად.

ანა ფირცხალაიშვილი

რიგის თასი საქართველოში

ქართული ფეხბურთის გამოცოცხლების პროცესს ფეხი პატარებმაც აუწყვეს – საქართველოს 14-წლამდელთა ნაკრებმა რიგის საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა. ჩვენმა ფეხბურთელებმა ძალზე დაძაბულ ფინალურ შეხვედრაში პენალტებით დაამარცხეს ჰოლანდიის „ვიტესი“. ჩვენები მთელი ძირითადი დროის განმავლობაში აგებდნენ 0:1-ს, ანგარიშის გათანაბრება კი საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე მოახერხეს. ეს **გიორგი წულეისკირმა** გააკეთა, რომელსაც ასისტენტობა **ლუკა ვარძელაშვილმა** გაუწია. პენალტების სერიაში ჩვენებმა 2:0 იმარჯვეს და სანუკვარ თასსაც დაეუფლნენ.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ვარძელაშვილი დაასახელეს, რომელმაც ლამის მარტომ მოიგო ნახევარფინალური შეხვედრა კიევის „დინამოსთან“ - ჩვენებმა 2:0 მოიგეს და ორივე გოლი ვარძელაშვილმა გაიტანა. წინასწარ შეხვედრებში საქართველოს ნაკრებმა პოლონურ „იაგელონიას“ 3:0 მოუგო, მასპინძელთა „შიაულიაი“ 5:1 გაანადგურა, „კიევი“კი მინიმალური ანგარიშით 1:0 დაამარცხა.

გამარჯვებულთა დამრიგებელმა **გოჩა ტყეებუჩავამ** სამშობლოში დაბრუნების შემდეგ განაცხადა, რომ ტურნირი კარგად იყო ორგანიზებული და ბავშვებმა დიდი გამოცდილება მიიღეს. მწვრთნელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დისციპლინის მხრივ გუნდში ბევრია გასაკეთებელი. ის გულისხმობდა როგორც ფეხბურთელებს, ასევე - მშობლებს, რომლებიც ხშირად მწვრთნელთა საქმეებშიც კი ლამობენ ჩარევას. ცხადია, ეს დაუშვებელია და, უწინარესად, მათსავე შვილებს უწევენ დათვურ სამსახურს. ტყეებუჩავამ სინანულით აღნიშნა, რომ სრულფასოვანი რეზერვი არ ჰყავს და ნაკრებში კონკურენცია არაა.

27 აპრილს ეს ნაკრები მორიგ საერთაშორისო ტურნირში გამოვა. ამჯერად შვედეთში, სადაც ჩვენებურთა მეტოქეები ადგილობრივი „აიკი“, ჰოლანდიური „აიაქსი“, ფინური „ჰიკი“ და „ჰონდა“, ბერძნული „პაოკი“, იტალიური „მილანი“ და გერმანული „ლევერკუზენი“ იქნებიან.

ირაკლი თავაძე

თავისუფალი უნივერსიტეტის ოლიმპიადები აბიტურიენტებისთვის

გაზაფხულზე თავისუფალი უნივერსიტეტი აბიტურიენტებისათვის ჩაატარებს 6 ოლიმპიადას

ოლიმპიადები ჩატარდება

- დამოუკიდებელ აზროვნებაში
- საჯარო გამოსვლის ხელოვნებაში
- სამართალში
- აზრის მოკლედ გადმოცემაში (LAKONIKA OLYMPIADA)
- მათემატიკაში
- ფიზიკაში

თუ გაიმარჯვებ ოლიმპიადაში და გახდები თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტი, მიიღებ სასწავლო გრანტს.

ოლიმპიადაში მონაწილეობა უფასოა. თითოეული ოლიმპიადა ჩატარდება სხვადასხვა დღეს, შესაბამისად, შეგიძლია მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ან ექვსივე ოლიმპიადაში, მთავარია იყო აბიტურიენტი.

თუ ერთზე მეტ ოლიმპიადაში გაიმარჯვებ, შენი შედეგები დაჯამდება. შესაძლებელია, მაქსიმუმ სრული ოთხწლიანი დაფინანსების მოპოვება.

დამოუკიდებელი აზროვნების, საჯარო გამოსვლის ხელოვნების, აზრის მოკლედ გადმოცემისა (Lakonika Olympiada) და სამართლის ოლიმპიადაში მონაწილეობისათვის რაიმე სპეციფიკური ცოდნა არ არის საჭირო

მონაწილეობა რომ მიიღო ჩვენს ოლიმპიადებში, შეავსე სარეგისტრაციო ფორმა თავისუფალი უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.freeuni.edu.ge ან დაგვიკავშირდი ტელეფონის ნომრებზე: 822 20 09 01; 877 42 20 09; 893 522 322

რეგისტრაციის ბოლო ვადა – 24 მარტი

დამატებითი ინფორმაციისთვის: www.freeuni.edu.ge ტელ.: 822 20 09 01; 877 42 20 09; 893 522 322

„ახალი განათლების“ წიგნის თარო

„წა ალის“
ერთი ტომი – 11 ლარი

„ისტორიული ლაბირინთი“
ეროვნული ტომი – 12 ლარი

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტებია: საქართველოს ბანკი ბ/კ BAGAGE22, ს/კ 202058735, ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.